# ალია

50 თეთრი

გამოდის: ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

N69(3385) 22 ივნისი 2016 წ ფასი 50 თეთრი

ორშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან


## ზაზა ხატიაშვილი: „დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები, ეს საქმე ბიძინა ივანიშვილსაც შეიწირავს და ირაკლი ღარიბაშვილსაც“

3

რა ამბები ჩამოიტანა ადვოკატების შეფმა სტრასბურგიდან?



## ვინ ეწევა ხელისუფლებიდან ერთნაირსქესიანთა ქორწინების აკრძალვაზე ხელმოწერების საბოტაჟს

9

## რა ხდებოდა ბიძინა ივანიშვილის, ბიზნესმენებისა და ექსპერტების დახურულ შეხვედრაზე?



ექსპერტების რა მოსაზრება გაიზიარა და რა რეაქცია ჰქონდა ივანიშვილს შენიშვნებზე?

7

## ლევან ხაბეიშვილი: „ხელფასიც აქვთ, პრემიაც, დანამატიც და წყალიც მათივე ფულით იყიდონ და ყავაც. ყელში ამოვიდა!“

13

რა ტენდერები გამოაცხადეს მერიამ და საკრებულომ?



## აბა, სად ხართ, ეროვნული ბანკის ახალ პრეზიდენტს რომ აქებდით და ადიდებდით – ახლა რაღა სჭირს ლარს?!

2



## ევროპელები ისევ მხარს გვიჭერენ, მაგრამ უვიზო რეჟიმის დაწესებაზე რა გითხრათ, აბა, რით გაგახაროთ?

2



## „რემენადან“ და „სვანამდე“ – „შავი სამყაროს“ მობილიზება არჩევნებისთვის"

6



## მობილური კომუნიკაციის ტარიფების სიძვირით საქართველო მსოფლიოში მოწინავეა

10



## როგორ ისჯებიან საქართველოში ცოლების მკვლელი ქმრები

8



ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# ევროპელები ისევ მხარს გვიჭერენ, მაგრამ უვიზო რეჟიმის დაწესებაზე რა გითხრათ, აბა, რით გაგახაროთ?

ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის დაწესებას მხარი ერთხმად დაუჭირეს. ამის შესახებ ევროკავშირის უმაღლესმა წარმო-



მადგენელმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ფედერიკა მოგერინიმ ლუქსემბურგში, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

– ჩვენ განვიხილეთ საქართველოსთვის ვიზალბიერალიზაციის დაწესების საკითხი ევროკავშირ-საქართველოს ურთიერთობის ჭრილში. ევროკავშირის ყველა წევრმა ქვეყანამ ნათლად დაადასტურა, რომ უდავოდ, საქართველომ შეასრულა ყველა პირობა, - აღნიშნა მოგერინიმ.

მისი თქმით, ახლა ნიდერლანდებმა, როგორც თავმჯდომარე ქვეყანამ საქართველოსთვის ვიზალიბერალიზაციის დაწესების საკითხი უნდა შეიტანოს ევროკავშირის მუდმივ წარმომადგენელთა კომიტეტის (COREPER) უახლოესი სხდომის დღის წესრიგში.

– ყველა წევრმა სახელმწიფომ დაადასტურა, რომ საქართველომ კარგი სამუშაო შეასრულა, რომელიც რაც შეიძლება მალე უნდა დაფასდეს, - განაცხადა მო-



გერინიმ.

– ყველა თანხმდება, რომ საქართველო ვიზალიბერალიზაციისთვის ყველა პირობას აკმაყოფილებს, — ამის შესახებ უკვე ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა დიდიე რეინდერსმა განაცხადა.

მისი თქმით, საქართველოს ვიზალიბერალიზაცია ძალაში მას შემდეგ შევა, რაც ევროპარლამენტი ე.წ. შეჩერების მექანიზმს დაამტკიცებს.

– ველი, რომ გერმანიაში დებატების შემდეგ ჩვენ მომდევნო ნაბიჯის გადადგმას შევძლებთ. პარალელურად მიმდინარეობს ორი დისკუსია: საქართველო აკმაყოფილებს პირობებს და ჩვენ უნდა წავიწიოთ წინ ვიზალიბერალიზაციისკენ. ასევე, ევროპარლამენტმა უნდა დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია შეჩერების მექანიზმთან დაკავშირებით. მას შემდეგ, რაც ევროპარლამენტში კენჭისყრა გაიმართება, ვიზალიბერალიზაცია ძალაში შევა, — განაცხადა დიდიე რეინდერსმა.

გადასარევი შეფასებებია, ვერაფერს იტყვი, მაგრამ რად გინდა – იმას აღარ აკონკრეტებენ, როდისთვის მოხდება ამ ოხერი შეჩერების მექანიზმის დამტკიცება.

არც ისე მომხიბვლელია ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრ ლინას ლინკევიჩუსის განცხადება:

– საქართველომ ყველა კრიტერიუმი დააკმაყოფილა. ვერ ვიტყვი, რომ მზად ვართ, გადაწყვეტილება ახლავე მივიღოთ, თუმცა ჩვენ დავიწყეთ პოლიტიკური მოლაპრაკებები. ჩვენ კიდევ ერთხელ განვიხილეთ კრიტერიუმები, პირობები. ზოგადი განწყობა იყო ძალიან პოზიტიური. ჩვენ მიზანმიმართულად პროცესს არ გავაჭია-



ნურებთ. ვერ ვიტყვი, რომ პროცესი მალე დასრულდება, თუმცა მჯერა, რომ როგორც კი შეჩერების მექანიზმზე შევთანხმდებით, ვიზალიბერალიზაციის პროცესიც დასრულდება. ეს ასევე დამოკიდებულია ევროპარლამენტზე. მჯერა, რომ ყველაზე გვიან, შემოდგომის დასაწყისში პროცესი დასრულდება, - განაცხადა ლინას ლინკევიჩუსმა.

უვიზო რეჟიმს ადრეული შემოდგომისთვის გვპირდება ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი ედგარ რინკევიჩი, რომელიც აცხადებს, რომ საქართველოსთვის უვიზო მიმოსვლის მინიჭების ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის.

– არიან წევრები, რომლებსაც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები აღელვებთ, მაგრამ ისინიც კი აღიარებენ საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესს და ამბობენ, რომ საქართველომ უნდა მიიღოს უვიზო მიმოსვლა. ძალიან კმაყოფილი ვარ შეხვედრით, უაღრესად პოზიტიური იყო. სამწუხაროდ, ე.წ. დედლაინები არ გვაქვს, მაგრამ ადრეული შემოდგომა - მე ასე მგონია, - ამბობს ლატვიის საგარეო უწყების ხელმძღვანელი.

კარგით, კაცო, კარგით, მოვა ადრეული შემოდგომაც, გვიანი შემოდგომაც იქვე იქნება და ზამთარი თოვლის გარეშეც და თუ ისევ პირში ჩალაგამოვლებულებს დაგვტოვებთ, რასაც შემოგითვლით, ერთი არ აგცდეთ!

## პოლიტიკური ამბავია პეტრიაშვილის ცემაო, თქვენი პარტიის წევრები რომ ამბობდნენ, გავატარეთ ეგ ამბავი?



– ჩემზე თავდასხმა კერძო შემთხვევა იყო, - პეტრიაშვილი პოლიტიკურ მოტივს გამორიცხავს.

ალექსი პეტრიაშვილის განცხადებით, მასზე განხორციელებული თავდასხმა პოლიტიკურ ხასიათს არ ატარებდა და კერძო შემთხვა იყო:

– მინდა გავმიჯნო პოლიტიკური თავდასხმებისგან ჩემი შემთხვევა, რომელიც არის ნამდვილად კერძო შემთხვევა. ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ ბევრი ფაქტისა და მტკიცებულების მოპოვების შემდეგ და არა ისე, როგორც უმრავლესობის წევრები აცხადებდნენ ჩემზე თავდასხმიდან რამდენიმე წუთში თუ საათში, - განაცხადა ალექსი პეტრიაშვილი.

ალექსი პეტრიაშვილმა მასზე განხორციელებულ თავდასხმაზე „რუსთავი 2“-ის ეთერში გადაცემა „არჩევანში“ ისაუბრა. მისი თქმით, მუხლი, რომლითაც საქმეს იძიებდნენ, შეცვლილია და ამჟამად გადაკვალიფიცირებულია როგორც განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი დანაშაული. პეტრიაშვილის თქმით, ამ დრომდე არავითარი წინსვლა არ არის მეორე თავდამსხმელისა და შემკვეთის გამოვლენის საქმეში.

შეგახსენებთ, ყოფილ სახელმწიფო მინისტრს 26 თებერვალს საბურთალოს სასაფლაოზე დაესხნენ თავს, მას დაზიანებები ჩაქუჩით მიაყენეს და ცეცხლსასროლი იარაღიდანაც დაჭრეს. (ნიუპოსტი)

## „დავით გერლიანი უკვე სოჭშია, იქ, სადაც ის მიისწრაფოდა“

– დავით გერლიანი სოჭშია, იქ, სადაც ის მიისწრაფოდა, - ეს განცხადება „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა გივი თარგამაძემ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში გააკეთა.

დაკითხვის დეტალებზე, რომელიც ე.წ. კანონიერი ქურდის საქართველოში ჩამოსვლას უკავშირდებოდა, თარგამაძემ გადაცემა „არჩევანის“ ეთერში ისაუბრა.

დეპუტატის თქმით, კრიმინალური ავტორიტეტების მობილიზებით უშუალოდ ვიცეპრემიერი კახი კალაძეა დაკავებული და მის სახელს არაერთი ე.წ. კანონიერი ქურდის საქართველოში ჩამოსვლა უკავშირდება.

თარგამაძე ამბობს, რომ არსებობს კიდევ ერთი მიმართულება, რომელიც თბილისელ კრიმინალებს ეხება. მისი თქმით, წინასაარჩევნოდ შს სამინისტრო და კახი კალაძე უზრუნველყოფენ მათ საქართველოში დაბრუნებას.

(პირველი რადიო)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

# აბა, სად ხართ, ეროვნული ბანკის ახალ პრეზიდენტს რომ აქებდით და ადიდებდით — ახლა რაღა სჭირს ლარს?!



ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში ისევ გაუფასურდა. კერძოდ, 22 ივნისისთვის 1 აშშ დოლარის ოფიციალური ფასი 2,2128 ლარი გახდება. კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2,1805 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0,0323 ლარი შეადგინა.



ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გაუფასურდა. კერძოდ, დღეს 1 ევროს შეძენა 2,5095 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა აქამდე მოქმედი კურსი 2,4694 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0,0401 ლარი შეადგინა.

(ინტერპრესნიუსი)

**● რა ამბები იყო გიორგი ქადაგიძეზე, რთულია დაივიწყო და ანალოგიურად არ გამოვა იმ დითირამბების გონებიდან ამოშლა, ეროვნული ბანკის პრეზიდენტად კობა გვენეტაძის დანიშვნას რომ მოჰყვა.**

**ჰო, ეს ბოლო პერიოდი ლარი მართლაც არ გამოიყურებოდა ურიგოდ და გამყარებისკენაც თამამად მიდიოდა, თუმცა აგერ, ისევ რა დღეში ჩავარდა, კი ხედავთ.**

**ლარი ასე რომ მყარდება სწორედ გვენეტაძის დამსახურებააო, ექსპერტები ქება-დიდებას არ იშურებდნენ და იქვე ქადაგიძესაც მიაყრიდნენ ხოლმე ქოქოლას — სულ მაგის ბრალია, ეროვნულ ვალუტა რა შავ დღეშიც ჩავარდაო.**

**ჰოდა, სად ხართ, გამოდით და თქვით, ახლა რაღა სჭირს ლარს, ისევ ქადაგიძე მამაძაღლობს? რატომ გაუფასურდა ისევ ასე საშინლად ლარი? ოღონდ ის არ დაიწყოთ, ჟურნალისტები აბუქებთ ყველაფერსო — ასეთი მკვეთრი ცვლილება თუ გაბუქებაა და ყოჩაღ, მაგარი გონიერები ყოფილხართ!..**

# ეს რა არის, კიდევ უფრო მეტის ღირსია „ქართული ოცნება“!



ყოფილი პრემიერის საკნიდან გაყვანის ფაქტზე მთავარ პროკურატურაში დაწყებულ გამოძიებას ადვოკატი გიორგი ჩივიაშვილი ეხმაურება, გამოძიებისგან კონკრეტულ შედეგს არ ელოდება და ამბობს, რომ შოთაძის უწყება სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ იძულებული გახდა გამოძიება დაეწყო.

– იმ დღიდან, როდესაც ცნობილი გახდა, რომ ვანო მერაბიშვილზე განხორციელდა ზეწოლა და მოხდა მისი ციხიდან გაყვანა, მოვითხოვდით გამოძიების დაწყებას, თუმცა მაშინ გამოძიება არ დაიწყეს. სიმართლე გითხრათ, არც ახლა გვაქვს დიდი მოლოდინი, რომ გამოძიება ობიექტურად წარიმართება და რაიმე სახის შედეგს დადებს. ისინი სტრასბურგის გადაწყვეტილების შემდეგ იძულებულები გახდნენ, რომ ყველა შემთხვევაში დაეწყოთ გამოძიება. არადა ჩვენ გვახსოვს ყოფილი პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებები, რომ მერაბიშვილი იტყუებოდა, იყო შეურაცხადი და მის განცხადებებზე კომენტარი ფსიქიატრებს უნდა გაეკეთებინათ, - აღნიშნა ჩივიაშვილმა.

ადვოკატი იმ პროკურორების პასუხისმგებლობაზეც საუბრობს, რომლებმაც ვანო მერაბიშვილის განცხადების შემდეგ გამოძიება არ დაიწყეს.

– როცა განცხადება დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, ისინი ვალდებულები იყვნენ გამოძიება დაეწყოთ. ჩვენ არაერთხელ მოვითხოვეთ გამოძიების დაწყება, ვითხოვდით სასჯელაღსრულებიდან ვიდეოფირებს. თავიდან გვითხრეს, რომ კადრები ერთი კვირა ინახებოდა, მერე შეცვალეს განცხადება და ირწმუნებოდნენ, რომ 24 საათში იშლებოდა... — განაცხადა ჩივიაშვილმა. (ნიუპოსტი)

**● სასაცილოა, საგინებელი რომ არ იყოს „ქართული ოცნების“ მორიგი მარცხი და მიწასთან გასწორება — ირბინეთ ახლა აქეთ-იქით, იმართლეთ თავი სულელურად იმის ნაცვლად, რომ თავის დროზე დაგერქმიათ ყველაფრისთვის სახელი!**

# ზაზა ხატიაშვილი: „დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები, ეს საქმე ბიძინა ივანიშვილსაც შეიწირავს და ირაკლი ღარიბაშვილსაც“

## რა ამბები ჩამოიტანა ადვოკატების შეფმა სტრასბურგიდან?



ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



„საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე“ ზაზა ხატიაშვილი სტრასბურგში იმყოფებოდა და ევროსაბჭოს მთავარი შესასვლელის წინ მჯდომარე აქცია გამართა. ასოციაციის თავმჯდომარემ ევროპელ დიპლომატებს მიმართა და საქართველოს ხელისუფლებას ქართველ ადვოკატებზე განხორციელებული ძალადობის ფაქტების გამოძიება და დამნაშავეთა დასჯა მოსთხოვა. ევროპის საბჭოს მთავარ ოფისში 1000-ზე მეტი პირია დასაქმებული, ევროპის საბჭოს მთავარ ოფისში განთავსებულია ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისრის ოფისი. შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ზაზა ხატიაშვილის ეს აქცია უშედეგოდ არ ჩაივლის და გავლენიანი საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციები და პოლიტიკოსები დაინტერესდებიან საქართველოში მოხშირებული, ლამის უკვე ნორმად ქცეული ადვოკატთა დევნითა და მათზე ძალადობით.

„ევროპის ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტმა მარია სლაზაკმა, მარსელა ბრასელმა, ალდო ბალგარელიმ, ხოსე-მარია დავო ფერნანდესმა რამდენიმეჯერ, ბოლო შვიდი წლის განმავლობაში მიმართეს საქართველოს ხელისუფლებას, გამოძიებული ყოფილიყო ადვოკატებზე ზეწოლისა და ძალადობის ფაქტები, მაგრამ საქართველოს ხელისუფლება სავარაუდო დამნაშავეებს ხელს აფარებს და თავისი უმოქმედობით ადვოკატების დევნას ახალისებს“, – აცხადებს ხატიაშვილი.

**უფრო კონკრეტულად სტრასბურგში ვიზიტის, იქ გამართული აქციისა და და სხვა საინტერესო თემების შესახებ ზაზა ხატიაშვილი „ალიას“ ესაუბრება.**

**— ბატონო ზაზა, რა შედეგი გამოიღო თქვენმა ერთკაციანმა საპროტესტო აქციამ და შეხვედრებმა სტრასბურგში, ჰქონდა აზრი იქ წასვლას?**

– ბიძინა ივანიშვილმა რომ მახსენა ამას წინათ, ზუსტად 3 დღეში დაიწყო ადვოკატებზე თავდასხმები. სამი დღის განმავლობაში სამ ადვოკატს მიაყენეს შეურაცხყოფა, რაც მიზანმიმართულ ძალადობაზე მიუთითებს. მე, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, არ დავუშვებ არც ერთი ადვოკატის შეურაცხყოფას. სწორედ ამ საკითხებზე ვისაუბრე შეხვედრებზე. ყველა ის ნაძირალა, ვინც ადვოკატზე ძალადობს, საბრალდებო სკამზე დაჯდება. 2015 წლის 5 ნოემბერს, საბურთალოს პოლიციის მე-5 განყოფილებაში სცემეს და უკანონოდ დააპატიმრეს ადვოკატი გიორგი მდინარაძე. ამის გამო ჯერ არავინ დასჯილა, პოლიციის უფროსი მოხსნეს და მეტი არაფერი გაუკეთებიათ. კი, მიმდინარეობს გამოძიება, მაგრამ ვეჭვობ, ამ ხელისუფლებამ ვინმე დასაჯოს. ესენი ხომ პოლიციასა და სხვა ძალოვნებს ეყრდნობიან და უძნელდებათ თავიანთის გაწირვა. მდინარაძის უკანონოდ დამკავებლების, დავით გაფრინდაშვილისა და გიორგი წიგნაძის მიმართ არ დაწყებულა სისხლის სამართლებრივი დევნა, მეტიც, ისინი კვლავ თანამდებობებზე იმყოფებიან. პროკურატურამ ამით იგნორირება გაუკეთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 147-ე მუხლს, „განზრახ უკანონო დაკავება“, და ადვოკატებზე ძალადობის გასაგრძელებლად პოლიციელებს მწვანე შუქი აუნთო.

> **„ამათ მართლა არა აქვთ არც ტვინი და არც თავმოყვარეობა. „ნაცმოძრაობას“ გაუჭრელი კოზირი მისცეს ხელში. მათთვის ეს არის ისეთივე საქმე საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც „გირგვლიანის საქმე“ იყო სააკაშვილის ოპოზიციისთვის. ამ კოზირს კი, ცხადია, ხელისუფლების წინააღმდეგ გამოიყენებენ“**

ხელისუფლება ამას არ დასჯერდა და 10 ივნისს გიორგი მდინარაძის ადვოკატი, მუხრან ღურწკაია ისანი-სამგორის პოლიციის სამმართველოს ოცმეთაურის, ლაშა გელაშვილის ინიციატივით, სრულიად უკანონოდ დააკავეს ადმინისტრაციული წესით, იმ დროს, როცა ღურწკაია საადვოკატო უფლებამოსილებას ახორციელებდა. წინა დღეს, 11 ივნისს, ქუთაისში, ადვოკატ ესმა ნორაკიას, მესტიის რაიონული სამმართველოს გამომძიებელი, ოლეგ ივეჩიანი საცხოვრებელ სახლში, ორ უცნობ პოლიციელთან ერთად, მიუვარდა და ოქმზე ხელის მოწერას დაჟინებით აიძულებდა. ადვოკატთან სახლში მისი არასრულწლოვანი შვილები იმყოფებოდნენ. პოლიცია მოითხოვდა, ადვოკატს კარი გაეღო, აფრთხილებდნენ, რომ პოლიციას ნუ უწევდა წინააღმდეგობას. ესმა ნორაკიამ მოძალადეებს კარი არ გაუღო. ასეთი რამ ჯუნგლებში არ ხდება. ხალხო, ეს რა უბედურებაა? ქვეყანაა, თუ ერთი დიდი საპყრობილე?

ადვოკატ თანდილა ჯოლოგუას უკვე მერამდენედ არ აძლევენ საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებას. 2016 წლის 10 ივნისს ტელეკომპანია „ოდიშს“ ინტერვიუს აძლევს ვინმე ზურაბ აბესაძე, რომელიც აცხადებს, რომ, თუ ადვოკატი ჯოლოგუა საქმეს არ ჩამოშორდება, მას მოკლავენ, გაუსწორდებიან მის შვილებს, აუფეთქებენ სახლს. სამართალდამცავები შორიდან უყურებენ ზურაბ აბესაძის მუქარას და ადვოკატის დაცვისთვის არ იღებენ ზომებს. ეს არის ხელისუფლება, რომელიც საკუთარ ხალხზე და მათ შორის, ადვოკატებზე ძალადობს და მეტს არაფერს აკეთებს. ადვოკატებზე ძალადობის ფაქტებს არ იძიებს, ხელს აფარებს პოლიციას. როცა პოლიციურ სახელმწიფოში ცხოვრობ, სხვა გზა აღარ დაგრჩენია. საერთაშორისო საზოგადოებას უნდა მიმართო დახმარებისთვის. სტრასბურგში, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს ექსპერტი, მიწვეული ვიყავი კონფერენციაზე და ამით ვისარგებლე. დავჯექი ევროსაბჭოს მთავარ შესასვლელთან, ხელში მეჭირა ბანერი, რომელზეც საკმაოდ მნიშვნელოვანი მესიჯები იყო. დღეში 1000 კაცზე მეტი შედის ევროსაბჭოში, ბევრი შეჩერდა და ყურადღებით წაიკითხა, რა ეწერა ბანერზე. ბევრს კიდევ მე მოვუყევი ეს დეტალები, რაც ახლა გითხარით.

> **„გასაოცარი რა არის, იცი? თეა წულუკიანი თავად მუშაობდა სტრასბურგის სასამართლოში და ჭკუა არ ეყო, რომ ეს საქმე ფორმალურად მაინც გამოეძიებინა, როცა დარწმუნებული ვარ, წინასწარ იცოდა, რომ სტრასბურგი ამ ამბავს არ აპატიებდა“**

გარდა ამისა, შევხვდი ევროსაბჭოსა და სტრასბურგის სასამართლოს საკმაოდ გავლენიან პირებს და ეს ხალხიც ჩავაყენე საქმის კურსში, ერთი ნამდვილად ვიცი, რომ ჩემი ეს პროტესტი და შეხვედრები უშედეგოდ არ ჩაივლის. საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან ექნებათ ძალიან უსიამოვნო საუბარი, ამ ხელისუფლებას ძალიან ცუდად შემოუბრუნდება და ის ხალხი, ვინც ადვოკატთა დევნაში, ცემასა და წამებაში არიან დამნაშავე, მკაცრად დაისჯებიან, იმ ხალხთან ერთად, რომლებიც ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან მათ ხელს აფარებენ.

**— ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაზეც ხომ არ გქონიათ სტრასბურგში საუბარი?**

– კი, ამ საკითხზეც ვესაუბრე ჩემს კოლეგებსა და გავლენიან ადამიანებს და ყველა ერთ აზრზეა – ვანო მერაბიშვილის მიმართ საქართველოს ხელისუფლება არის დამნაშავე და ამისთვის პასუხს სერიოზულად აგებს. ჩემი აზრით, ვანო მერაბიშვილი არ არის პოლიტპატიმარი, რაზეც აპელირებენ მისი მხარდამჭერები, მაგრამ ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად, პოლიტპატიმრის სტატუსი ენიჭება. კი, სასამართლოს გადაწყვეტილებაში ეს არ წერია, თუმცა, მერაბიშვილი მოიხსენიეს მაგნიცკის საქმის, ალიევის საქმისა და სხვა პოლიტპატიმრებთან ერთად, ხდება მე-18 მუხლის გამოყენება... აი, ამის საფუძველზე, ასე ვთქვათ, არაფორმალურად შეიძლება

გაგრძელება მე 12 გვერდზე

## ვინ უთვალთვალებს ვაშაძეს?



პარტია „ახალი საქართველოს" ლიდერი გიორგი ვაშაძე ხელისუფლებას უკანონო თვალთვალში ადანაშაულებს. მისი თქმით, უკანონო თვალთვალის ფაქტი იუსტიციის სახლში გამართული ღონისძიების დროსაც დადასტურდა. საუბარია პირზე, რომელიც გიორგი ვაშაძის პარტიის მიერ დაგეგმილ ღონისძიებას ტელეფონის საშუალებით იღებდა. კითხვაზე, რატომ ახორციელებდა ვიდეო გადაღებას, მან თქვა, რომ „თანამშრომელია და ევალება". როგორც ვაშაძე აცხადებს, ხელისუფლება ცდილობს მოახდინოს იმ პირთა იდენტიფიცირება, რომლებიც მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობენ, რათა შემდგომ მათზე ზეწოლა განხორციელდეს.

– არავინ არ დამკავშირებია ჯერჯერობით. ეს უცნაური ადამიანი იუსტიციის სახლში გვითვალთვალებდა. მერე ჩემთან ერთად მყოფმა პირებმა კითხვები რომ დაუსვევს, მან გაუგებარი პასუხები გაგვცა. არავინ ამის შემდეგ არ გამოსულა კონტაქტზე, ეს ფაქტი ჯერჯერობით ყურადღების გარეშეა დატოვებული. იურისტებთან ერთად გავივლით ამ საკითხს და შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას. სამართალდამცავი ორგანოები ვალდებულნი არიან, დაინტერესდნენ ამ ფაქტით. ისინი ცდილობენ დააიდენტიფიცირონ ადამიანები, ვინც იღებს ამ ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობას და მერე სხვადასხვა მეთოდით მათზე ზეწოლა მოახდინონ. ასეთი ფაქტები გვქონდა, სადაც თვითონ ოჯახებს და პირებს, ვისზეც ზეწოლა იყო, არ უნდოდათ გახმაურება ამ ყველაფრის, თუმცა ჩვენ შევძელით შესაბამისი რეაგირების მოხდენა. მათი მიზანია დააშინონ ადამიანები, რომ არ მიიღონ აქტიური მონაწილეობა საარჩევნო კამპანიაში, - განაცხადა გიორგი ვაშაძემ. (პირველი რადიო)

● **აღარ დაძველდა მურტალოს ეს მეთოდები, აღარ უნდა დასრულდეს ეს მარაზმი?! არა, ვაშაძის სიტყვის დაჯერება კატეგორიულად არ შეიძლება, ეს ნაღდია, მაგრამ მოქალაქეების ტოტალურ კონტროლზე რომ ვერ ამბობს ხელისუფლება უარს, ამაშიც ხომ არის სიმართლის ძალიან დიდი მარცვალი?**

## ექსპერტები რეცეპტების სისტემის მონიტორინგს ითხოვენ



კიდევ ერთი კვლევა, რომელიც ფარმაცევტულ ბაზარზე ფასების ზრდაზე მიუთითებს - საერთაშორისო ფონდ „კურაციოს" მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, 2016 წელს 2012 წელთან შედარებით მოსახლეობაში გენერიულ მედიკამენტებზე ფიზიკური ხელმისაწვდომობა 21,3 პროცენტით არის შემცირებული. კვლევის თანახმად, მიმდინარე წელს ბრენდულ მედიკამენტებზე ფასნამატის დონე 2012 წელთან შედარებით თითქმის გაორმაგდა და 40 პროცენტს მიაღწია. გენერიკების ფასნამატის დონე კი 63,5 პროცენტამდე გაიზარდა. მედიკამენტების ფასებთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრის მთავარ გზად სპეციალისტები მთავრობის მხრიდან ჯანდაცვის სფეროზე დახარჯული თანხების მიზნობრიობის ცვლილებას ასახელებენ. ექსპერტების კიდევ ერთი ძირითადი რეკომენდაცია რეცეპტების სისტემის ქმედითი მონიტორინგის დანერგვას ეხება. (bpn.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## პაატა შეშელიძე: მთავრობის მხრიდან უფრო ტრაბახი ისმოდა, ვიდრე თვითკრიტიკა



– მთავრობის მხრიდან უფრო ტრაბახი ისმოდა, ვიდრე თვითკრიტიკა, - ამის შესახებ ეკონომიკურმა ექსპერტმა პაატა შეშელიძემ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში" გამართული ფორუმის - „საქართველოს ეკონომიკა და ბიზნესგარემო" დასრულების შემდეგ განაცხადა.

მისი თქმით, შეხვედრაზე საუბარი იყო როგორც მიღწევებზე, ისე იმ პრობლემებზე, რომელიც ბიზნესის წინაშე დგას და რომელიც მოსაგვარებელია.

– რა თქმა უნდა, მთავრობის მხრიდან უფრო ტრაბახი ისმოდა, ვიდრე თვითკრიტიკა, მაგრამ ეს ბუნებრივია. დღეს საარჩევნო სიტუაციაში ვართ და ყველას უნდა საუკეთესო მხრიდან წარმოაჩინოს თავი. რაც ხაზგასასმელი და მნიშვნელოვანია, ჩემი აზრით, ისაა, რომ ნებისმიერი ხელისუფლების დროს, წინა ხელისუფლების თუ ამ მთავრობის დროს, როცა ნაბიჯები არის გადადგმული ეკონომიკური თავისუფლებისკენ, იმ მიმართულებით გვაქვს წინსვლა. როცა ლაპარაკია რეგულაციებზე და შეზღუდვებზე, ყოველთვის გვაქვს ჩიხი და საბედნიეროდ, დღეს ამის გააზრება თანდათან მოდის, - განაცხადა პაატა შეშელიძემ.

ექსპერტის თქმით, რამდენად სწრაფად და ადეკვატურად მოხდება ცვლილებების განხორციელება, ეს უკვე მეორე საკითხია, თუმცა იგი მიიჩნევს, რომ საარჩევნო სიტუაცია ამ პროცესს დააჩქარებს. (bpn.ge)

## წარმატება გადამდებია – „თიბისი ბანკი" და „ჯეოსელი" ბიზნესდაჯილდოებას წარმოგიდგენთ

**„თიბისი ბანკი" საქართველოში ყველაზე მასშტაბურ ბიზნესდაჯილდოებას წარმოგიდგენთ, რომლის მიზანი ქართული მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერა და მისი განვითარების ხელშეწყობაა. პროექტს გენერალურ პარტნიორობას სატელეკომუნიკაციო კომპანია „ჯეოსელი" უწევს. ბიზნესდაჯილდოება მიზნად ისახავს წარმატებული ბიზნესმენების წახალისებასა და მათთვის მოტივაციის მიცემას, რათა კიდევ უფრო მეტს მიაღწიონ, მიეცეთ სტიმული და ინსპირაცია, რომ ქვეყანაში არსებული მრავალფეროვანი შესაძლებლობები გამოიყენონ, წარმატება გააზიარონ და თავიანთი ბიზნესი განავითარონ.**




ბიზნესდაჯილდოებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ კომპანიებს, რომლებიც საქართველოში ოპერირებენ, დარეგისტრირებული არიან 2016 წლამდე და მათი წლიური ბრუნვა 10 მილიონ ლარს არ აღემატება. გამარჯვებულები შემდეგ ნომინაციებში გამოვლინდებიან:

წლის ტურისტული ბიზნესი; წლის აგრობიზნესი; წლის ქართული პროდუქტი; წლის ინოვაციური ბიზნესი; წლის მარკეტინგული კამპანია; წლის მცირე ბიზნესი; წლის ბიზნესი.

„ყველა მარკეტინგული პროექტი ცნობადობის გაზრდას ემსახურება. ჩვენ მიზნად ვისახავთ, რომ ქვეყანაში ბიზნესის კეთებისა და ახალი ბიზნესის წამოწყების საქმეში ჩვენი წვლილი შევიტანოთ. ვაკეთებთ დიდ დაჯილდოებას და ამას ყოველწლიური სახე ექნება. არის დამოუკიდებელი კომისია, რომელიც წარმატების ისტორიას შეაფასებს და მერე გამარჯვებულს 7 კატეგორიაში გამოავლენს. ბიზნესის კეთება უნდა იყოს პოპულარული და არ უნდა იყოს სასირცხვილო, ან მიუღწეველი სიდიდე. სლოგანად გამოვიყენეთ, რომ წარმატება არის გადამდები. ადამიანი რომ სხვის წარმატებას დაინახავს, თვითონაც დაფიქრდება და შესაძლოა, გადაწყვიტოს კიდეც ბიზნესის გაკეთება", – განაცხადა „თიბისი ბანკის" გენერალური დირექტორის მოადგილე ნიკა ქურდიანმა.

ნომინაციაში „წლის ტურისტული ბიზნესი" შესაძლებელია ნებისმიერი ბიზნესი შეირჩეს, რომლის მომსახურების ძირითადი მომხმარებლები ადგილობრივი ან უცხოელი ტურისტები არიან და რომელმაც მათი მხრიდან განსაკუთრებული აღიარება მოიპოვა. ნომინანტის შეფასებისას ყურადღება მიექცევა მომხმარებლების მიერ საჯაროდ დაფიქსირებულ შეფასებებს, საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიების მიერ მინიჭებულ რეიტინგებს, სტატიებს ან სიუჟეტებს ადგილობრივ და უცხოურ მედიაში, სოციალურ ქსელებში, კომპანიის ვებგვერდის პოპულარობას, სხვადასხვა კონკურსებში მიღებულ ჯილდოებს და ა.შ.

ნომინაციაში „წლის აგრობიზნესი" მონაწილეობა ნებისმიერ ბიზნესს შეუძლია, რომლის ძირითად საქმიანობას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება, შენახვა, განაწილება ან გადამუშავება წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ პროდუქტი მეტწილად ნაწარმოები/გადამუშავებული იყოს საქართველოში. პრიორიტეტი ისეთ კომპანიებს მიენიჭებათ, რომლებიც პროდუქციას შესაბამისი ინდუსტრიის საერთაშორისო სტანდარტების დაცვით აწარმოებენ.

ნომინაციაში „წლის ქართული პროდუქტი" შესაძლებელია ნებისმიერი სფეროს ბიზნესმა წარადგინოს ნებისმიერი ისეთი პროდუქტი, რომელიც შექმნა, დანერგა ან განავითარა საქართველოში. პროდუქტში იგულისხმება როგორც მატერიალური (საკვები, სათამაშო, ტანისამოსი და სხვ.), ასევე არამატერიალური (ვიდეო, ვებგვერდი, ფილმი და სხვ.) საქონელი. შეფასებისას ყურადღება მიექცევა ისეთ ბიზნესს, რომელმაც საკუთარი პროდუქტი ექსპორტზე გაიტანა და ამგვარი პროდუქტის გატანა ექსპორტზე მანამდე არ ხორციელდებოდა. მნიშვნელოვანია, ერთჯერადი იყო თუ არა ნომინანტი ბიზნესის მიერ განხორციელებული ექსპორტი და ახალ ბაზარზე დასამკვიდრებლად რა ღონისძიებები გაატარა, რამდენად გაზარდა წილი მიზნობრივ ბაზარზე და რა საექსპორტო პოტენციალი გააჩნია.

ნომინაციაში „წლის ინოვაციური ბიზნესი" მონაწილეობა ისეთ ბიზნესებს შეუძლიათ, რომლებმაც შექმნეს, დანერგეს ან განავითარეს ისეთი ტექნოლოგიური სიახლე ან გამოგონება, რომელსაც გააჩნია კომერციალიზაციის პოტენციალი ან გარკვეული სოციალური დატვირთვა. ტექნოლოგიური ინოვაცია შეიძლება იყოს როგორც პროდუქტი, ასევე მომსახურება, ან პროცესი. შესაძლებელია ტექნოლოგიური ინოვაცია არ იყოს უნიკალური მსოფლიოს მასშტაბით, მაგრამ იყოს ინოვაციური საქართველოსთვის ან იმ არეალისთვის, სადაც ია შეიქმნა, დაინერგა ან განვითარდა.

ნომინაციაში „წლის მარკეტინგული კამპანია" შესაძლებელია ნებისმიერი სფეროს ბიზნესი შეირჩეს, რომელმაც ისეთი მარკეტინგული კამპანია განახორციელა, რომლის შედეგადაც ბიზნესმა/ბრენდმა/პროდუქტმა მომხმარებელში განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა, რაც მომხმარებლის რაოდენობისა და გაყიდვების მოცულობის საგრძნობ ზრდაში აისახა.

ნომინაციაში „წლის მცირე ბიზნესი" შესაძლებელია ნებისმიერი სფეროს ბიზნესი შეირჩეს, რომლის ბრუნვაც 1.5 მილიონ ლარს არ აღემატება; რომელმაც ბიზნესის განვითარების კუთხით განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია და მცირე ზომის მიუხედავად, მომხმარებლისთვის თავის დამახსოვრება მოახერხა.

კომისია, ასევე, გამოავლენს გამარჯვებულს ნომინაციაში „წლის ბიზნესი". შეფასებისას კომისიის წევრები იხელმძღვანელებენ ისეთი კრიტერიუმებით, როგორიცაა ბიზნესის განსაკუთრებული მიღწევები და ამ მიღწევების ამსახველი საინტერესო ისტორიები, ბიზნესი, რომელსაც სათავეში ახალგაზრდები უდგანან და რომელსაც საერთაშორისო განვითარების პოტენციალი აქვს. ნომინაციაში გამარჯვებული ერთი წლით თიბისი ბიზნესის ელჩი გახდება და სხვადასხვა ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობას მიიღებს.

„წლის მარკეტინგული კამპანიის" ნომინაციაში გამარჯვებული ელექტრონულად, საყოველთაო ხმის მიცემის პრინციპით გამოვლინდება. სხვა დანარჩენ ნომინაციაში გამარჯვებულებს ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს ექსპერტებისგან შემდგარი კომისია გამოავლენს. ნომინაციაში „წლის ბიზნესი" გამარჯვებული ჯამურად შემოსული აპლიკანტებიდან შეირჩევა. ხოლო დანარჩენ ნომინაციებში გამარჯვებულები თითოეულ მათგანში შერჩეული სამი ფინალისტისგან გამოვლინდებიან, რომელთა პორტფოლიოები საზოგადოებას მედიისა და სოციალური მედიის მეშვეობით წარედგინება.

**„მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოს ეკონომიკის მომავალია. ჩვენ დღეს არ დაგვიწყია ამის პოპულარიზაცია, ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო და დღეს, „ჯეოსელთან" ერთად, ახალი პროექტი დავიწყეთ, რომელიც გვჯერა, რომ წარმატებული იქნება. ჩვენი მიზანი მხოლოდ ის არ არის, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებს მოვემსახუროთ, ჩვენ გვინდა, რომ მათი პარტნიორები ვიყოთ... მჯერა, რომ ეს პროექტი წარმატებული იქნება. ქართული კომპანიები დაინახავენ როგორ და რის გაკეთება შეიძლება საქართველოში და მიმბაძველებიც გამოუჩნდებიან", — აღნიშნა „თიბისი ბანკის" გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ.**

კონკურსში მონაწილეობის მსურველებისთვის აპლიკაციების მიღება 21 ივნისიდან დაიწყება და 15 აგვისტომდე გაგრძელდება, ხოლო გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონია ნოემბერში გაიმართება. აპლიკაციები მიიღება ონლაინ, შემდეგ მისამართზე: www.businessaward.ge

**დარინა ქამადაძე**

## სოსო ჯაჭვლიანი: ზოგიერთს დედის გინება „იავნანასავით“ ესმის, ზოგიერთისთვის კი, ეს აბსოლუტურად მიუღებელია



საპარლამენტო უმრავლესობის წევრი სოსო ჯაჭვლიანი მხარს უჭერს პრემიერ-მინისტრის ინიციატივას, რომლითაც იგი პარტიებს პოლიტიკურ ძალთა ქცევის კოდექსის უმოკლეს დროში მიღებისკენ მოუწოდებს. სოსო ჯაჭვლიანის თქმით, ზოგიერთს დედის გინება „იავნანასავით" ესმის, ზოგიერთისთვის კი ეს აბსოლუტურად მიუღებელია.

პარლამენტარის აზრით, ამის გამო კანონი უნდა გამკაცრდეს, რათა წინასაარჩევნო პერიოდში ადამიანების შეურაცხყოფისგან თავი ყველამ შეიკავოს.

– ჩვენ ადამიანები იმიტომ ვართ, რომ თითოეულ მათგანს აქვს თავისი გრძნობა, თავისი თავმოყვარეობა. ზოგიერთს დედის გინება „იავნანასავით" ესმის, ზოგიერთისთვის კი ეს აბსოლუტურად მიუღებელია. ამიტომ აქედან უნდა გამოვიდეთ. რა თქმა უნდა, დეპუტატებს აქვთ თმენის ვალდებულება, მაგრამ დეპუტატიც არის ადამიანი. არსებობს ქვეყნები, სადაც დედის გინება „იავნანაა" და ეს საქართველოა. ამიტომ კანონი უნდა იყოს ძალიან მკაცრი, რომ თითოეულმა ადამიანმა ამისგან თავი შეიკავოს, — განაცხადა დეპუტატმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა პოლიტიკურ ძალებს საგანგებო განცხადებით მიმართა. პრემიერ-მინისტრი პარტიებს პოლიტიკურ ძალთა ქცევის კოდექსის უმოკლეს დროში მიღებისკენ მოუწოდებს და იმედოვნებს, რომ კოდექსს ყველა პასუხისმგებლიანი პოლიტიკური ძალა შეუერთდება.

– საქართველოში საარჩევნო კამპანია ოფიციალურად დაიწყო და მინდა, საგანგებო განცხადებით მივმართო პოლიტიკურ ძალებს, სახელმწიფო უწყებებს და მთელ საზოგადოებას. უპირველეს ყოვლისა, მოვუწოდებ ყველას, უმოკლეს დროში მივიღოთ წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკურ ძალთა ქცევის კოდექსი, რომელსაც იმედი მაქვს, ჩვენს ქვეყანაში მოქმედი ყველა პასუხისმგებლიანი პოლიტიკური ძალა შეუერთდება, — განაცხადა კვირიკაშვილმა. მისივე თქმით, ქცევის კოდექსში ჩადებულ პრინციპებზე უნდა შედგეს საზოგადოების ფართო კონსენსუსი. (kvira.ge)

● **აჰა, ანუ ერთმანეთს დედას აღარ აგინებენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები? და რა შეიცვლება მაგითი, რო? პოლიტიკოსებისთვის მთავარი ის უნდა იყოს, ხალხმა არ აგინოს, ქვეყნის მოქალაქეები არ იყვნენ უკმაყოფილოები, თუმცა რასაც ვუყურებთ, ეს ამბავი სულ ფეხებზე ჰკიდიათ — მთავარია, თავიანთი გაინაღდონ, თბილ და რბილ სავარძელში მოკალათდნენ და მერე მორჩა, აღარაფერი ანაღვლებთ.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ეს არის ერთგვარი აღიარებითი ჩვენება - კანდელაკი პროკურატურის მიერ გამოძიების დაწყებაზე

პროკურატურის მიერ ვანო მერაბიშვილის ციხიდან გაყვანის ფაქტზე გამოძიების დაწყებასთან დაკავშირებით „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გიორგი კანდელაკი კომენტარს აკეთებს. საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ აღნიშნულ საკითხზე გამოძიების დაწყება აღიარებითი ჩვენების ტოლფასია:

– გამოძიების დაწყებით საქართველოს პროკურატურამ ფაქტობრივად დაადასტურა, რომ ყველაფერი, რაც წერია ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მერაბიშვილის საქმეზე, სიმართლეა. ეს არის ერთგვარი აღიარებითი ჩვენება. რანაირი შელამაზებითაც არ უნდა დაკავდეს მთავრობა, მთავრობას, ბიძინა ივანიშვილს არაფერი არ ეშველება, - განაცხადა გიორგი კანდელაკმა. (ნიუპოსტი)

## ქუთაისელი ბესიკ ადამია ენერგეტიკის მინისტრ კალაძეს დუელში იწვევს?!




30 მაისის „ყოველკვირეულ ალიაში“ (№22 გვ.23) გამოქვეყნებულ პუბლიცისტ ბესიკ ადამიას სტატიას „ოცნების ხელისუფლება საბჭოთა ანაბრებს აბრუნებს?!“, სადაც ის კახი კალაძეს სსრკ-ს დროს აშენებულ ტრანსკავკასიური გაზის მაგისტრალის 49%-ის საბჭოთა კავშირის დროინდელ მეანაბრეებზე გადაცემას სთხოვს, ენერგეტიკის მინისტრი უყოყმანოდ, მეორედაც უარით პასუხობს, რაზეც ბესიკ ადამია მინისტრისადმი ახლად გაგზავნილ წერილში, ენერგეტიკის სამინისტროსთან 1-ელ ივლისს, აქციას „თეთრი ხელთათმანი“ აანონსებს და კალაძეს მიმართავს: ან ძმობა ან მტრობა:

ბატონო კახი, თქვენ, როგორც საფეხბურთო კლუბ „მილანის“ საუკეთესო „დამცველს“, ფეხბურთში – არა, მაგრამ საქართველოს მოსახლეობისა და მეანაბრეების ინტერესების „დაცვაში“, მე, როგორც ერთ-ერთი მაშინდელი მეანაბრე, ნამდვილად შეგეჯიბრებით, გამოიყენეთ შანსი, შედით ისტორიაში „კეთილი კახის“ სახელით, დავუბრუნოთ ხალხს თავისი დანაზოგი, გაიხსენეთ და აასრულეთ „ოცნების“ დანაპირები!

## გივი თარგამაძე: შს სამინისტროს მივაწოდე ინფორმაცია, რაც წინასაარჩევნოდ ე.წ ქურდულ შეკრებებს უკავშირდება



„ნაციონალური მოძრაობის“ წევრი გივი თარგამაძე შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალურ პოლიციაში დაკითხვაზე 2 საათზე მეტხანს იმყოფებოდა.

გივი თარგამაძემ დაკითხვის შემდეგ განაცხადა, რომ გამომძიებელს დეტალური ინფორმაცია მიაწოდა, თუმცა ინფორმატორის ვინაობა არ დაუსახელებია. მისივე თქმით, ინფორმატორთა შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოქმედი თანამშრომლებიც არიან.

თარგამაძის განცხადებით, ე.წ. ქურდული სამყაროს წარმომადგენლების მობილიზება ხელისუფლების ჩარევით წინასაარჩევნოდ ხდება, რათა თბილისში გარკვეული უბნების გადანაწილება მოხდეს. თარგამაძის ბრალდების მთავარი ადრესატი კი, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილია.

– შს სამინისტროს მივაწოდე ინფორმაცია, რაც წინასაარჩევნოდ ე.წ. ქურდულ შეკრებებს უკავშირდება, რომელიც ძირითადად სასაზღვრო რაიონებში ტარდება. ეს არის ქალაქი ქემალფაშა, ასევე, ერევანში დამკვიდრებულია შაქრო კალაშოვი. მე კვლავ ვამოწმებ ინფორმაციებს და დაწვრილებით მოგაწვდით სამომავლოდ. ასევე, საზოგადოება მალე გაიგებს, როგორ და ვისზე ნაწილდება ქალაქში უბნები. ამით დაინტერესებულია ხელისუფლება და პირადად შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი, - განაცხადა გივი თარგამაძემ.

კითხვაზე – ენდობა თუ არა გამოძიებას, გივი თარგამაძე აცხადებს, რომ იგი ვალდებულია საზოგადოებას და შესაბამისად, საგამოძიებო უწყებას მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც მოეპოვება.

– ვიმედოვნებ, გამოძიება ჩატარდება სრულფასოვნად და ობიექტურად. იმედია, ამ საქმით დაინტერესდებიან სხვა საგამოძიებო უწყებები, ვგულისხმობ მთავარ პროკურატურას, - განაცხადა გივი თარგამაძემ.

თარგამაძე პოლიციაში იმ განცხადებასთან დაკავშირებით დაიბარეს, რომლის მიხედვითაც ე.წ. კანონიერმა ქურდმა, დათო გერლიანმა (დათო სვანი) საქართველოს საზღვარი უპრობლემოდ გადმოკვეთა. (news.ge)

● **მეტი რაღა მტკიცებულება უნდა „ქართულ ოცნებას“, რომ აღიაროს — დიახ, უუნაროები ვართ და „ნაციონალური მოძრაობის“ აგენტურა პოლიციიდანაც კი ვერ მოვაშორეთო. ისიც ძალიან უცნაურია, ამ „კანონიერი ქურდების“ ამბებზე რატომ არაფერს ამბობენ — რაო, მართლა იხსენებთ ძველ დროს და კრიმინალური ავტორიტეტები გჭირდებათ ხმების მისაღებად? აი, სადამდე დაეცით, „ოცნება“, ხედავთ?!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „თავისუფალი დემოკრატების“ აბაშის ორგანიზაციის წევრები „ოცნებას“ შეუერთდნენ - ცაგარეიშვილი ზეწოლაზე საუბრობს



„თავისუფალი დემოკრატების“ აბაშის ორგანიზაციის 5 წევრი „ქართულ ოცნებას“ შეუერთდა. ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელი თამაზ შოთაძე გადაწყვეტილების მიზეზად პარტიული ლიდერების ბოლოდროინდელი განცხადებებს ასახელებს, თუმცა მეტი კონკრეტიკისგან თავს იკავებს. შოთაძის თქმით, ის თანამოაზრებთან ერთად, სრულად იზიარებს ქვეყნის განვითარების იმ ხედვას, რომელიც „ქართულ ოცნებას“ აქვს.

თამაზ შოთაძემ ჟურნალისტების კითხვებს არ უპასუხა, თუმცა აბაშის ორგანიზაციის ყოფილ წევრებს უკვე უპასუხეს „თავისუფალი დემოკრატების“ ცენტრალურ ოფისში.

– რაც უფრო მეტი ამგვარი მოღალატე დატოვებს ჩვენს რიგებს, მით უკეთესია, - აცხადებს გია ცაგარეიშვილი.

გია ცაგარეიშვილის თქმით, ეს ყველაფერი შემაშფოთებელია იმ ფონზე, როცა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ ადმინისტრაციული რესურსი გამოყენებული არ უნდა იყოს.

– იმ ფონზე, როცა საქართველოს პრემიერ-მინისტრი აცხადებს, რომ მას უნდა თავისუფალი გარემო იხილოს და მაქსიმალურად შეზღუდოს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, დღეს დილიდან დაიწყო გადაბირება ჩვენი აბაშის რაიონული ორგანიზაციის წევრების. დარწმუნებული ვარ, მიმდინარეობდა ზეწოლა, რადგან ამ ადამიანებს არასდროს ამის სურვილი აქამდე არ გასჩენიათ, - აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

გიორგი ცაგარეიშვილის თქმით, მას სხვა რაიონულ ორგანიზაციებთან დაკავშირებით მსგავსი ინფორმაცია არ აქვს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## Bank of America შემოდგომაზე ნავთობის ფასების ვარდნას პროგნოზირებს

ნავთობის ფასებმა მესამე კვარტლის ბოლოს შესაძლოა, ბარელზე 39 აშშ დოლარამდე დაიწიოს, ასეთი პროგნოზი გააკეთეს The Wall Street Journal-თან Bank of America-ის ანალიტიკოსებმა. საინვესტიციო ბანკი ვარაუდობს, რომ აშშ-ში ზაფხულის ბოლოს ნავთობზე მოთხოვნა ტრადიციულად შემცირდება.

ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ ნავთობის ფასები, როგორც წესი, საზაფხულო სეზონის დასაწყისში იზრდება. გასულ წელსაც მსგავსი ვითარება დაფიქსირდა. მაგალითისთვის, 2015 წლის მეორე კვარტალში ფასები 25 პროცენტით გაიზარდა, ხოლო 2014 წელს - 3,7 პროცენტით.

WSJ წერს, რომ საშუალო ვადიან პერსპექტივაში ნავთობი გაძვირებას მაინც განაგრძობს. მეოთხე კვარტალში კი ექსპერტები ბარელზე 54 აშშ დოლარამდე ზრდას ვარაუდობენ. (businesscontact.ge)

## „საიას განცხადებები ბოლო პერიოდში ძალიან პოლიტიზებულია“



კორცხელის ძალადობაში. ეს არ გააკეთა უმრავლესობამ, ეს ახალი საკანონმდებლო ინიციატივები კი არის უბრალოდ ხელისუფლების მცდელობა, რომ გადაიტანონ ყურადღება სხვა საკითხზე, რომელიც არ არის რელევანტური, - აღნიშნა სერგი კაპანაძემ.

„თავისუფალი დემოკრატები“ კი მიიჩნევენ, რომ პოლიციისთვის ზედმეტი უფლებამოსილების მინიჭება არ არის სასურველი.

მიმდინარე კვირას სესიაზე დეპუტატებმა უნდა გადაწყვიტონ საკითხი, რომლის მიხედვითაც მთავრობის ინიციატივით შემუშავებული კანონპროექტით პასუხისმგებლობა მკაცრდება საარჩევნო უბანზე ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი ძალადობისთვის. კანონპროექტი ითვალისწინებს ასევე განსაკუთრებულ შემთხვევებში საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის თანხმობის გარეშე პოლიციელების ყოფნას კენჭისყრის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საარჩევნო უბანზე ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი ძალადობისთვის კანონის გამკაცრებას სკეპტიკურად უყურებს და მის ბუნდოვანებაზე ამახვილებს ყურადღებას. არასამთავრობო ორგანიზაციაში ამბობენ, რომ კანონპროექტთან დაკავშირებით ბევრი კითხვა ჩნდება. (პირველი რადიო)

საიას კრიტიკას სისხლის სამართლის კოდექსში არჩევნებთან დაკავშირებული ახალი მუხლის დამატებასთან დაკავშირებით მმართველი გუნდი პასუხობს და არასამთავრობო ორგანიზაციის შეფასებას პოლიტიკურს უწოდებს.

– საიას განცხადებები ბოლო პერიოდში არის ძალიან პოლიტიზებული. საარჩევნო უბნებთან სამართალდამცავების ყოფნა, ეს არ არის ის თემა, რომელიც უკავშირდება პოლიტიკას. პოლიცია საჭიროა საარჩევნო უბნებთანაც და ყველა ისეთ ადგილებში, სადაც თავშეყრა იქნება არჩევნების დროს თუ სხვა პერიოდში, - განაცხადა გიორგი ვოლსკიმ.

„ნაციონალურ მოძრაობაში“ მიაჩნიათ, რომ ხელისუფლებას კანონის გამკაცრება კორცხელის ინციდენტიდან ყურადღების გადასატანად სჭირდება.

– არსებული კანონმდებლობა იძლევა იმის საშუალებას, რომ გამოძიებული იყოს და დასჯილი იყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა, მაგალითად,

## „რემენადან“ და „სვანამდე“ - „შავი სამყაროს“ მობილიზება არჩევნებისთვის






– ხელისუფლებას არჩევნებისთვის სჭირდება შავი სამყაროს მობილიზება, - აცხადებს „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატი ირმა ნადირაშვილი და ამბობს, რომ ე.წ. კანონიერ ქურდ დავით გერლიანთან დაკავშირებით, შსს-ს დუმილი მისთვის გასაკვირი არ არის.

– შსს-ს არ გაუკეთებია არც ერთი განცხადება და არც მიკვირს. იმიტომ, რომ სათქმელი არაფერი აქვთ. ჩვენ ყველამ დავინახეთ, კანონიერმა ქურდმა, მისივე აღიარებით, როგორ გადმოკვეთა საზღვარი და არც არავის შეუჩერებია. საქართველოს კანონმდებლობა ჩვეულებრივად ითვალისწინებს, რომ თუ ადამიანი კავშირშია ქურდულ სამყაროსთან, ის ავტომატურად უნდა დააკავო. შსს ვერაფერს იტყვის იმიტომ, რომ ამ ადამიანის თბილისში ჩამოსვლამდე რამდენიმე საათით ადრე გიორგი თარგამაძემ დადო ვიდეოკადრები, სადაც ნაჩვენები იყო ამ კანონიერი ქურდის გამოძევება ოდესიდან. ანუ, შსს იყო საქმის კურსში და ამის მიუხედავად არაფერი არ გააკეთეს, იყენებენ დუმილის უფლებას და მორიგი სისულელე რაც გააკეთეს, ამ ქურდის ნაცვლად კრიმინალურ პოლიციაში გივი თარგამაძე დაიბარეს. ეს მე ნამდვილად არ მიკვირს იმიტომ, რომ ჩვენ არა გვყავს მთავრობა, ჩვენ გვყავს ქურდებთან ანგარიშვალდებული მინისტრთა კაბინეტი. მე შეგახსენებთ „რემენას“ შემთხვევას, რომელიც კახი კალაძემ „გააქრო“ აეროპორტიდან და თავისი მეგობრის პირადი მანქანა დაახვედრა. ასე რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის. მათ სჭირდებათ შავი სამყაროს მობილიზება არჩევნებისთვის, მაგრამ არჩევნებს იგებს არა შავი სამყარო, არამედ ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ დღეს გაცილებით უარესად ცხოვრობენ ვიდრე 4 წლის წინ, - განუცხადა ირმა ნადირაშვილმა. (პირველი რადიო)

## გორში რუსმა ოკუპანტებმა საქართველოს კიდევ ერთი მოქალაქე დააკავეს

გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევში რუსმა ოკუპანტებმა საქართველოს ერთი მოქალაქე უკანონოდ დააკავეს. ახლობლების განცხადებით, მამაკაცი თავის კუთვნის საძოვარზე აიყვანეს.

მომხდარს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურშიც ადასტურებენ. სხვა დეტალები ჯერჯერობით უცნობია. (news.ge)

## რატომ კაფავენ ქართველი ფერმერები კივის ნარგავებს



წელს კივის მოსავალი ძალიან შემცირებულია, რის გამოც საქართველოში მოყვანილი კივი ბაზარზე მცირე რაოდენობით იქნება - ამის შესახებ ქართველი ფერმერები დაუფარავად საუბრობენ. ზუგდიდის რაიონის სოფელ ტყაიას მკვიდრმა, ფერმერმა დემურ ფიფიამ განაცხადა, რომ წელს კივის მოსავალი შარშანდელთან შედარებით 8-10-ჯერ არის შემცირებული, რაც საგაზაფხულო წაყინვამ გამოიწვია:

– შარშან 3-4 ტონა კივი მოვიწიე, წელს კი, ალბათ 300-400 კგ-იც არ გამოვა. მარტო ჩემთან კი არა, ყველგან ასეა. აქაურ ფერმერებს წელს კივის იმედი აღარ აქვთ: აპრილის დასაწყისში მომხდარმა საგაზაფხულო წაყინვამ კივის ნარგავები სულ გაანადგურა. მხოლოდ 10 პროცენტს თუ მივიღებთ იმ მოსავლიდან, რომელსაც ველოდით. ჩვენი, ქართული კივი ძირითადად ადგილობრივ ბაზარზე იყიდება, ზოგჯერ თბილისში, დეზერტირების ბაზრობაზე ჩამოგვაქვს და საბითუმო ფასებში ვყიდით, ზოგჯერ - ადგილზეც მოდიან კივის შესყიდვის მსურველები.

ფერმერის თქმით. ადგილობრივ კივის სერიოზული კონკურენტი ჰყავს უცხოური პროდუქციის სახით:

– მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი კივი უფრო გემრიელია თურქულთან და ირანულთან შედარებით, მათთვის კონკურენციის გაწევა მაინც ძნელია: თურქული და ირანული კივი 1 ლარი ღირს, ჩვენი კი - 2 ლარი, ამხელა გზაზე ჩამოაქვთ, საბაჟოზე გადასახადებსაც იხდიან, მაგრამ მათი კივი მაინც უფრო იაფია. წელს ამას უამინდობაც დაერთო და სავარაუდოდ, ქართულ კივს თურქული და ირანული ჩაანაცვლებს.

დემურ ფიფიას თქმით, კივის მოვლა რთული საქმეა, ამას ბევრი შრომა სჭირდება, ამიტომ, ბევრმა აკაფა და მის ნაცვლად თხილი გააშენა. (bpn.ge)

## ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა „ნაციონალური მოძრაობის“ დელეგაციას ცალკე შეხვედრაზე უარი განუცხადა



საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია სტრასბურგში ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა. მანანა კობახიძის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობა“ მინისტრთან ცალკე შეხვედრას ითხოვდა. ვიცესპიკერისთვის უცნობია, რისი თქმა სურდათ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებს მინისტრისთვის.

– როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, მასთან ცალკე შეხვედრის ინიციატივა გამოუხატავს „ნაციონალურ მოძრაობას“, რაზეც მინისტრმა განაცხადა, რომ თუ შეხვდებოდა, მხოლოდ მთლიან დელეგაციას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი და დიპლომატიური ჟესტია, - განაცხადა კობახიძემ. (რეპორტიორი)

● **იციან მაგათ ვის უნდა შეხვდნენ და ვისთან უნდა ჰქონდეთ ურთიერთობა თქვენგან, „ქართული ოცნებისგან“ განსხვავებით — სწორედ თქვენ მიეცით „ნაციონალურ მოძრაობას“ იმის შესაძლებლობა, პარლამენტშიც იყვნენ და მთლად უარესი — გაუთავებლად ხელისუფლებაში დაბრუნებაზე იტლიკინონ!!!**

## „მთავრობამ ექვსი გაზგასამართი სადგური დახურა და ამ ფირმას, რომელსაც სენაკში გაზის ქსელიც აქვს, განადგურებით ემუქრებიან“



„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო სიის წევრი რომან გოცირიძე „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე თბილისში გამართული ეკონომიკური ფორუმის შესახებ პოსტს აქვეყნებს:

– მაშინ, როცა ბიძინა ივანიშვილი ეკონომიკურ ფორუმზე ბიზნესის თავისუფლებით იწონებდა და ტრადიციულად მაამებლურად განწყობილი მეწარმეები კვერს უკრავდნენ, მთავრობამ ბიზნესი დაატერორა. ექვსი გაზგასამართი სადგური დახურა და ამ ფირმას, რომელსაც სენაკში გაზის ქსელიც აქვს, განადგურებით ემუქრებიან. ეს ის ფირმაა, რომელიც გავაკრიტიკეთ „გაზპრომთან“ ხელშეკრულების გაფორმების გამო. მთავრობა ასეთი უკანონო ქმედებით და მესაკუთრეთა დაპატიმრების მუქარით აიძულებს „გაზპრომთან“ ხელშეკრულების გაუქმებას, რადგან არ აწყობთ წინასაარჩევნოდ „გაზპრომთან“ საკუთარი ცოდვების გამჟღავნება.

როცა სჭირდებოდათ, ამ კომპანიას ყველანაირად უწყობდნენ ხელს „გაზპრომთან“ სათანამშრომლოდ, ახლა უდროო დროს გამოუვიდათ ეს საქმე და ატერორებენ.

ვინ წარმოიდგენდა, რომ „გაზპრომთან“ მოთანამშრომლე ფირმა ჩვენი დასაცავი გახდებოდა.

ბიზნესასოციაცია ივანიშვილის ფორუმის გალამაზებით კი არ უნდა იყოს დაკავებული, არამედ მეწარმეთა ინტერესების დაცვით. ვნახოთ, თუ დაინტერესდება ამ საქმით. ბიზნესომბუდსმენზე არაფერს ვამბობ, - წერს გოცირიძე. (bpn.ge)

## ონლაინსესხებთან დაკავშირებით მთავრობა და ეროვნული ბანკი ერთობლივ საკანონმდებლო პროექტზე მუშაობენ



მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან და ონლაინსესხებთან დაკავშირებით მთავრობა და ეროვნული ბანკი ერთობლივ საკანონმდებლო პროექტზე მუშაობენ.

როგორც ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა არჩილ მესტვირიშვილმა პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, აღნიშნულ საკითხებზე მიმდინარეობს მუშაობა, ბანკს აქვს გარკვეული ინიციატივები, რომელიც მთავრობას უკვე წარედგინა.

– პარლამენტში ეს პაკეტი მას შემდეგ შემოვა, რაც მთავრობაში მოხდება შეჯერება და მას ერთობლივი პოზიციით წარმოვადგენთ, - განაცხადა მესტვირიშვილმა.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა ეროვნული ბანკის ყოველწლიური საქმიანობის ამსახველი ანგარიში მოისმინა. (bpn.ge)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



**20 ივნისს ბიძინა ივანიშვილი საქართველოში მოღვაწე ბიზნესმენებს შეხვდა. როგორც ჩანს, „ზემოთ“ გადაწყვიტეს, რომ შეხვედრის დიდი ნაწილი დახურული ყოფილიყო და შესაბამისად, მედიასაშუალებებში მისი მხოლოდ მცირე ვიდეოჩანაწერი გავიდა. ამიტომ, გაურკვეველი დარჩა, რა ხდებოდა შეხვედრაზე? ექსპერტების რა მოსაზრება გაიზიარა და რა რეაქცია ჰქონდა ივანიშვილს შენიშვნებზე?**

**„ალიას“ ესაუბრება „ახალი ეკონომიკური სკოლის“ პრეზიდენტი პაატა შეშელიძე, რომელიც შეხვედრას ესწრებოდა:**



# რა ხდებოდა ბიძინა ივანიშვილის, ბიზნესმენებისა და ექსპერტების დახურულ შეხვედრაზე?

## ექსპერტების რა მოსაზრება გაიზიარა და რა რეაქცია ჰქონდა ივანიშვილს შენიშვნებზე?

**— მედიით შეხვედრის ძალიან მცირე ნაწილი გავრცელდა და დაუგაუგებარი დარჩა, რაზე იყო საუბარი. რა ხდებოდა შეხვედრაზე?**

– მგონი, სიტუაცია ძალიან მარტივი იყო იქ: მთავრობა და მისი მხარდამჭერები ცდილობდნენ, წარმოედგინათ ის პოზიტივი, რაც ჰქონდათ და დაისვა კითხვა, რამე განსხვავებული აზრი ან კრიტიკა ხომ არ იყო ჩვენი მხრიდან? მეწარმეების მხრიდან იყო ინტერესი, მიენიშნებინათ, რომ მათ სჭირდებათ სტაბილურობა და ქონებრივი გარანტიები და ამაზე ორივე მხარე თანახმა იყო. ჩემი ამოცანა გახლდათ, რამდენიმე პრობლემურ საკითხზე მიმექცია ყურადღება, რაც არსებულ ვითარებას აფერხებს. მანდ უკვე მე ჩავერთე.

**— კონკრეტულად რაზე ისაუბრეთ?**

– როგორ მოვიზიდოთ საგარეო ინვესტიციები? ამ თემის ირგვლივ იყო ძირითადად საუბრები. ვთქვი, რომ აუცილებელია უფრო მეტი გარანტია ინვესტიციებისთვის, იგივე საკუთრებითი უფლებები, ვიზების პრობლემა რომ აღარ დადგეს, შეწყდეს ეს დაფინანსების პროგრამები, რომლებიც ხელოვნურად აძვირებს ბაზარს და შესაბამისად, ინვესტორებისთვის აღარ არის საქართველო ისეთი მიმზიდველი.

**— რატომ?**

– როდესაც სახელმწიფო აფინანსებს, ერევა, პირად სესხებს აძლევს, ქმნის ილუზიას, რომ ეს ყველაფერი უფრო ძვირია, ვიდრე სხვა შემთხვევაში იქნებოდა. აქედან გამომდინარე, ეს ინვესტორს ნაკლებად აინტერესებს და აინტერესებს იმას, ვინც უკვე აქ არის და დაახლოებულია მთავრობასთან. ამიტომ გამოდის, რომ მთავრობა თავის მეგობრებს აფინანსებს, რაც არასწორია. რაც შეეხება ლარს, ამასთან დაკავშირებით ვთქვი: საუკეთესო გზა იმისთვის, რომ ჩვენი ვალუტა იყოს საერთაშორისო ბაზარზე მიბმული, საერთაშორისო ბაზარზე ყველაზე მეტად გამოყენებად ამერიკულ დოლარზე ჩვენი ლარის მიბმაა, ან ოქროს ლარზე გადასვლა.

**— ბიძინა ივანიშვილის პოზიცია როგორი იყო თქვენს ამ შენიშვნებზე? საპასუხო პოზიციები დაგიფიქსირათ, თუ უბრალოდ მოსმენითა და თავის დაქნევით შემოიფარგლა?**

**„განსხვავებული ხედვა ვისაც ჰქონდა — ასე კი არა, ასე გავაკეთოთო, ერთადერთი მე ვიყავი, დანარჩენები კვერს უკრავდნენ იმას, რაც იყო გაკეთებული და მოკრძალებულად ეუბნებოდნენ, მოდი, კიდევ რამე დავილაპარაკოთო. შიშისა და მორიდების ელემენტი უფრო მეტი ჰქონდათ, ვიდრე საკუთარი განსხვავებული პოზიციის დაფიქსირების სურვილი. არ მიკვირს, ისინი დიდი რისკის ქვეშ არიან“**

– ერთადერთი გართულება მაგ ადამიანს აქვს „ნაციონალურ მოძრაობასთან“ დაკავშირებულ თემებზე, დანარჩენზე მას ჩემთან საკამათო არაფერზე ჰქონდა. ერთადერთი ის ვთქვი, რომ 2004-08 წლები იყო რეფორმების წლები, რომელიც მიმართული იყო ეკონომიკური თავისუფლებისკენ და როცა ამ კუთხით ნაბიჯები გადადგმულა, ყოველთვის არის შედეგები. პრინციპში, თვითონაც იგივეს აღიარებდა, მაგრამ მას, ზოგადად, ჰქონდა გართულება, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ რეფორმები წყალში გადაყარა, რადგან ქონებრივი დავები ჰქონდა მეწარმეებთან. მისი პოზიცია იყო ასეთი: წინა ხელისუფლება ქონებას ართმევდა მეწარმეებს და ასე შემდეგ. მაგრამ ჩემი პასუხი იყო ძალიან მარტივი: ჩვენ შევაფასოთ მოვლენები – გადაიდგა ათი ნაბიჯი და აქედან 6 კარგია, ოთხი არ ვარგა? უნდა ვთქვათ, რომ 6 კარგია, 4 არ ვარგა, მორჩა და გათავდა. მხოლოდ ერთი რომ არ ვარგა და იმას დანარჩენი ნაბიჯები გადააყოლო, არასწორია. მე მას პირდაპირ ვუთხარი, რომ უნდა დავაფასოთ ყველა კარგი ნაბიჯი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ თვითონ არ დაგვაფასებენ სათანადოდ-თქო.

**— მისი პასუხები როგორი იყო?**

– ეს მთლად დიალოგის რეჟიმი არ იყო, მე ჩემი პოზიცია დავაფიქსირე. შემიძლია გითხრათ, რომ ვიცე-პრემიერს ჰქონდა განსხვავებული, ჩემი აზრით, აბსოლუტურად უსუსური და უწიგნური აზრი ჩემს ნათქვამთან დაკავშირებით – მან თქვა, რომ ამ ეტაპზე მყოფი ქვეყნისთვის აუცილებელია სახელმწიფო ჩარევა ბიზნესის განვითარებაში, რაც აბსოლუტური სისულელეა, რადგან ბიზნესის განვითარებაში სახელმწიფომ რომ ფული ჩადოს, ჯერ ბიზნესიდან უნდა ამოიღოს და რომელი ჯობია: ბიზნესს დაუტოვოს ის, რაც მან გამოიმუშავა და მომხმარებლისგან მიიღო, თუ მას ფული ბიუროკრატმა წაართვას, თავის ჭკუაზე გადაანაწილოს და ისეთ პროექტებში დახარჯოს, რომელსაც მომხმარებელი არ ჰყავს?

**— ლართან დაკავშირებით რამეზე შეთანხმდით?**

– ვიცე-პრემიერმა თვითონ ვერ ჩამოაყალიბა, გადაამისამართა მასზე უფრო უცოდინარ ადამიანთან, რომელმაც თქვა: ვერ გავიგე, თავისუფლების მოყვარული ადამიანები, ლიბერტარიანელები რატომ უჭერენ მხარს დოლარზე ლარის მიბმასო, ლარი ხომ ისედაც თავისუფალი გვაქვსო? ეს ხომ სისულელეა, ლარი არის ეროვნული ბანკის მიერ მართული გაცვლის საშუალება, რომელსაც პოლიტიკური გადაწყვეტილებები მართავს, ანუ როდესაც პოლიტიკოსები, ბიუროკრატები იღებენ გადაწყვეტილებას მილიონობით ადამიანის ინტერესების საპირისპიროდ. ამ შემთხვევაში მე ორი ვარიანტი შევთავაზე – „ა“ ვარიანტი იყო ოქროზე გადასვლა, „ბ“ ვარიანტი იყო ლარის დოლარზე მიბმა, რაც ამ ადგილობრივ რგოლს, რომელსაც აქვს თავისი დამოუკიდებელი რისკები, მოგვაშორებდა. ორი უწიგნური მედავებოდა და სიმართლე გითხრათ, არც კი შევედი მათთან დავაში, რადგან მაშინ უნდა „გამეშავებინა“ ისინი და დამეჩაგრა, რასაც მოვერიდე და „გავატარე“. ყველა ბიზნესმენი მიხვდა, რაზეც ვსაუბრობდი, რადგან ისინი ძალიან კარგად ხვდებიან, რა არის განსხვავება.

**— მყოფმა მეწარმეებმა რა საკითხები წამოსწიეს, რა პრობლემებზე ისაუბრეს?**

– იყო საუბარი იმაზე, რომ კარგი რეფორმებია ჩაფიქრებული მოგების გადასახადის გაუქმებასთან დაკავშირებით, თუკი საქმე შეეხება იმას, რომ კომპანია მოგებას არ გაიტანს. იცით თქვენ, ეს ცვლილება, იანვრიდან იქნება. მეორე მნიშვნელოვანი საკითხი იყო ის, რომ სასამართლოს გარეშე არ მოხდება ქონების დაყადაღება და რა თქმა უნდა, ეს პოზიტიურია. მთავრობას ეს ახლა გაახსენდა და ამაზე ჩვენ წლებია, ვსაუბრობთ, წინა მთავრობასაც იგივეს ვეუბნებოდით, ხალხს რომ აყაჩაღებდნენ. საუბარი იყო კიდევ იმაზე, რომ იქ ვინც სიტყვით გამოვიდა, ყველა ოპტიმისტურად არის განწყობილი, მიაჩნიათ, რომ სიტუაცია უკეთესობისკენ არის შეცვლილი. როგორც ასეთი, განსხვავებული ხედვა ვისაც ჰქონდა – ასე კი არა, ასე გავაკეთოთო, ერთადერთი მე ვიყავი, დანარჩენები კვერს უკრავდნენ იმას, რაც იყო გაკეთებული და მოკრძალებულად ეუბნებოდნენ, მოდი, კიდევ რამე დავილაპარაკოთო. შიშისა და მორიდების ელემენტი უფრო მეტი ჰქონდათ, ვიდრე საკუთარი განსხვავებული პოზიციის დაფიქსირების სურვილი. არ მიკვირს, ისინი დიდი რისკის ქვეშ არიან. მე მეცნიერი ვარ, მოაზროვნე და არანაირი კომპრომისი არ მჭირდება, შესაბამისად, მე უფრო თავისუფალი ვიყავი ჩემს ნათქვამებში. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ სპეციალურად მიმიწვიეს, რომ მხოლოდ ეს ფუნქცია შემესრულებინა, რაც დიდი სიამოვნებით შევასრულე.

**— ბიძინა ივანიშვილის მხრიდან რა იყო ის ნათქვამი, რომელსაც მნიშვნელოვნად მიიჩნევთ?**

– ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ამ კაცმა თქვა, იყო შემდეგი: არჩევნები მოდის, ჩვენ ცვლილებები არ გვაწყობს, თუ შეიძლება, მხარი დაგვიჭირეთ და პირდაპირ ასე თქვა, – ხელი გამოიღეთო...

**— საიდან გამოიღეთო, კაცო, ხელიო (ვიცინი)?**

– მე როგორც ვიცი, „ხელი გამოიღე“ დასავლური ტერმინია და ნიშნავს, ფული დახარჯეთო (იცინის). მე ასე ვიქცევიო და თქვენც დახარჯეთო. მას შეეძლო, სხვანაირად ეთქვა. ვთქვათ, ხელი გაანძრიე ან ხელი მიაშველე, მაგრამ რახან თქვა, „ხელი გამოიღეთო“, ეს ნიშნავს, ფული დახარჯეთო.

**— ისეთი რამე თუ ითქვა შეხვედრაზე, რამაც ივანიშვილი გააღიზიანა?**

– ის თავის თავს აღიზიანებდა „ნაციონალური მოძრაობის“ წარამარა ხსენებით... თუ არ მეშლება, მათმა რომელიღაც ექსპერტმა თქვა, რომ პიკური ინვესტიციები 2007 წელში იყო. ივანიშვილმა მას შეაწყვეტინა და, – კი, იყო, მაგრამ იცით, რას არ ითვალისწინებთო? მაშინ „ნაციონალურ მოძრაობას“ ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაწყებული ის ბარბაროსობა, რაც მერე გააკეთა და მაშინ რეფორმები ტარდებოდა, 2007 წლის ბოლოს კი ყველაფერი შეიცვალაო. ამ თემაზე იყო აღრენილი. ამის შემდეგ, როცა ჩემი საუბრის ჯერი მოვიდა, სწორედ მაშინ ვთქვი, რომ სინამდვილეში, 2004-08 წლები იყო საქართველოში რეფორმების წლები, რომელმაც ფუნდამენტი ჩაუყარა თანამედროვე ქართულ სახელმწიფოს, რადგან შეიცვალა დამოკიდებულება, ეკონომიკაზე გეუბნებით – გადასახადები შემცირდა, გამარტივდა, ვიზები გაუქმდა, რეგულირებები გაუქმდა და ათასი საინტერესო რაღაც მოხდა. ამან მაშინ საშუალება გაუჩინა ადამიანებს, რომ საქმე ეკეთებინათ, ფული ეშოვათ და ა.შ. შემდეგ პირდაპირ ვუთხარი: მართალია, ძალიან დაბალი ტემპით ვვითარდებით, მაგრამ დღეს იმიტომ არ ვართ მინუსებში, რომ, რაც წინასაარჩევნოდ თქვენ დაჰპირდით, არაფერი არ გააკეთეთ და ძალიან კარგი ჰქენით, რომ არ გააკეთეთ, რადგან ეს საფლავში ჩაგვათრევდა-მეთქი. ამაზე ვერც ერთი ვერ შემომეკამათა, გასუსულები იყვნენ და „გაატარეს“. ხოდა, ამას რატომ გიყვებით: ეს ორი ეპიზოდი როგორ დავაკავშირე – მე ვუთხარი, როდესაც ეკონომიკური თავისუფლებისკენ იდგმება ნაბიჯები, ჩვენ ყოველთვის გვაქვს შედეგები, იმის მიუხედავად, რომელი მთავრობაა.

## 25 წლის ნიკა ციცაგს სასწრაფო დახმარება ესაჭიროება



25 წლის ნიკა ციცაგს სასწრაფოდ ესაჭიროება საზოგადოების დახმარება. ნიკას ოჯახი იმედოვნებს, რომ მათ გასაჭირს ყველა გულთან ახლოს მიიტანს.

„25 წლის ნიკოლოზ ციცაგი, რომელსაც აქვს თანდაყოლილი გულის მანკი და ჯოენის კლინიკაში 6-ჯერ გაიკეთა გულის ოპერაცია, ამ ეტაპზე არის ძალიან მძიმედ და საჭიროებს გულის გადანერგვას საზღვარგარეთ, რაც ძალიან დიდ თანხებთან არის დაკავშირებული: კერძოდ, 100 000 აშშ დოლარი გადანერგვა და 18 000 ლარი გულის სტიმულატორი. გთხოვთ, გულთან მიიტანოთ ჩვენი გასაჭირი და გაგვიწიოთ დახმარება, წინასწარ გიხდით მადლობას".

საბაკო ანგარიშია: GE37LB0211165038402000 GEL, GE60LB0711165038402000 – USD, EUR; „ლიბერთი ბანკი", მიმღები თამთა ციცაგი. ტელ: 568 88 48 88; 598 55 72 98 (kvira.ge)

## იაცეკ სარიუშ-ვოლსკი: საქართველოს მთავრობა ცდილობს, ქვეყანაში „გაზპრომის" მეტი გაზი შემოვლითი გზებით შემოიტანოს



– საქართველოს მთავრობა ცდილობს, საქართველოში „გაზპრომის" მეტი გაზი შემოვლითი გზებით შემოიტანოს და ამისთვის კერძო კომპანიებს იყენებს, - ასე გამოეხმაურა ევროპარლამენტის წევრი და „ევროპის სახალხო პარტიის" ვიცეპრეზიდენტი იაცეკ სარიუშ-ვოლსკი ინფორმაციას, რომლის თანახმადაც „გაზპრომი" ქართულ კომპანიას 100 მილიონ კუბურ მეტრამდე გაზს მიაწვდის.

16 ივნისს, პეტერბურგის საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში, „გაზპრომის" პრეზიდენტმა ალექსეი მილერმა და ქართული კომპანია „გაზკო+"-ის კომერციულმა დირექტორმა გიორგი მამალაძემ შესაბამის კონტრაქტს მოაწერეს ხელი.

შეთანხმების თანახმად, მიმდინარე წელს „გაზპრომი" კომპანია „გაზკო+"-ს 100 მილიონ კუბურ მეტრამდე გაზს მიაწვდის.

კონტრაქტის მოქმედების ვადა მიმდინარე წლის 1 ივლისი-31 დეკემბერია. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## როგორ ისჯებიან საქართველოში ცოლების მკვლელი ქმრები



რამდენიმე დღის წინ, კიდევ ერთი ქალი გახდა ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი - 27 წლის ნინა ტ.-ს ყოფილმა ქმარმა ბასრი საგნით თავის არეში უმძიმესი ჭრილობები მიაყენა, სცემა და ღამე ქუჩაში უგონო მდგომარეობაში, ფაქტობრივად მომაკვდავი დატოვა. საბედნიეროდ, ნინა მძიმე დაზიანებებს გადაურჩა, რამდენიმე დღე რეანიმაციულ განყოფილებაში გაატარა და სამი დღის წინ გონზეც მოვიდა.

მისგან განსხვავებით არ გაუმართლა ათობით ქალს საქართველოში, რომლებიც ქმრებმა სასიკვდილოდ გაწირეს. ოჯახური კონფლიქტის ნიადაგზე ქალის მკვლელობის ბოლო ფაქტი რამდენიმე კვირის წინ თბილისში დაფიქსირდა. ისანში, ერთ-ერთი სასტუმროს მიმდებარე ტერიტორიაზე 35 წლის მამაკაცმა ყოფილ მეუღლეს ცეცხლსასროლი იარაღით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. 35 წლის ქალი საავადმყოფოში გარდაიცვალა.

ქალებზე ძალადობის გახშირებული ფაქტები ბოლო წლებში არაერთხელ მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ყველაზე ხშირ შემთხვევებში მოძალადე მამაკაცების ასაკი 24-დან 44 წლამდე მერყეობს. ოჯახური კონფლიქტების მიზეზი ხშირად ხდება ქონებრივი დავა, ეჭვიანობა და ალკოჰოლური სასმელის ხშირი მიღება.

როგორ ისჯებიან ქმრები, რომლებიც ცოლებს სასიკვდილოდ იმეტებენ?

თბილისის საქალაქო სასამართლოდან 2014-2016 წლების მონაცემებით, საქართველოს სსკ-ის 11 პრიმა-108-ე მუხლით (ოჯახში ძალადობის ნიადაგზე განზრახ მკვლელობა) და 109-ე მუხლებით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) 2016 წლის 4 თვეში სასამართლოს ჯერ არც ერთი საქმე არ განუხილავს. რაც შეეხება, 2014 და 2015 წლებს, ამ პერიოდში აღნიშნული მუხლებით საერთო ჯამში 35 ადამიანია პასუხისგებაში მიცემული.

გასული ორი წლის განმავლობაში, ქმრის მიერ ცოლის მკვლელობის ყველაზე მეტი - 9 საქმე განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლომ (2014 წელს 7 საქმე, 2015 წელს - 2 საქმე). ბრალდებულებს შორის მაქსიმალური - 15-წლიანი სასჯელი სწორედ თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუსაჯა განსასჯელს. განაჩენი 2014 წლის ივლისშია გამოტანილი და თუ საქმის სიმძიმიდან გამომდინარე ვივარაუდებთ (საქალაქო სასამართლოს სტატისტიკაში ბრალდებულის იდენტიფიცირება არ ხდება), საქმე ეხება 2014 წლის 15 მაისს, თბილისში მომხდარ შემზარავ მკვლელობას. ყოფილმა ქმარმა 27 წლის სოფო ზურებიანი ცეცხლსასროლი იარაღიდან 24 გასროლით მოკლა, მისი ძმა დაჭრა. მკვლელობა ვარკეთილში, გახოკიძის ქუჩაზე მოხდა.

გარდაცვლილი სოფო ზურებიანი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტექნიკური აღრიცხვის არქივის სპეციალისტი იყო. შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს ისანი-სამგორის სამმართველოს თანამშრომლებმა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ბრალდებით, რამაც სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია, 32 წლის ალექსნადრე ცოცხალაშვილი დააკავეს. მეუღლის მკვლელობისა და ცოლის ძმის დაჭრისთვის, მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

რაც შეეხება სხვა ქალაქების რაიონულ და საქალაქო სასამართლოებს, 2014-2016 წლებში ქუთაისის საქალაქო და თელავის რაიონულმა სასამართლოებმა 6-6 საქმე განიხილეს, 3 საქმე განიხილა რუსთავის საქალაქო სასამართლომ, ხოლო თითო-თითო მსგავსი შემთხვევა დაფიქსირდა სიღნაღის, ბოლნისის, ბათუმისა და ამბროლაურის სასამართლოებში

კიდევ ერთი გახმაურებული მკვლელობის საქმე, რომელზეც განაჩენი ქუთაისის საქალაქო სასამართლომ 2015 წლის აპრილში გამოიტანა, სასამართლოში 6 თვის განმავლობაში იხილებოდა. საქართველოს შს სამინისტროს, ზესტაფონის რაიონული სამმართველოს უბნის ინსპექტორ-გამომძიებელმა სერგი საცერაძემ 2014 წლის 25 ივლისს, ქალაქ ზესტაფონში ე.წ. „ირინეს ბაღში", სამსახურებრივი საშტატო „იერიხოს" მოდელის იარაღიდან რამდენიმე გასროლით განზრახ მოკლა ყოფილი მეუღლე სალომე ჯორბენაძე. საცერაძე დანაშაულის ჩადენის დღეს, 2014 წლის 25 ივლისს დააკავეს. მას 11 წლით თავისუფლების აღკვეთა 2015 წლის 17 აპრილს მიესაჯა.

კიდევ ერთი სადისტური მკვლელობის ჩამდენ ქმარს ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ 7-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა. 2014 წლის ოქტომბერში სოფელ დვაბზუში მომხდარმა მკვლელობამ საქართველო შეძრა. 40 წლის თემურ რამიშვილმა 29 წლის მეუღლე, ორი შვილის დედა, ეჭვიანობის ნიადაგზე ნაჯახის თავში ჩარტყმით მოკლა. ცოლ-ქმარს ორი შვილი - 7 წლის გოგონა და 4 წლის ვაჟი ჰყავთ. იმ დღეს გოგონა სკოლიდან ახალი დაბრუნებული იყო და ძმასთან ერთად ეზოში თამაშობდა, როცა მამამ დედა მოკლა. მკვლელობის შემდეგ მამაკაცმა სახლს ბენზინი მიასხა და იქაურობას ცეცხლი წაუკიდა. რამიშვილი იმავე დღეს დააკავეს. რამდენიმე თვეში სასამართლომ მას 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით (აქედან 6 რეალური და 1 პირობითი) ოჯახის წევრის მკვლელობისთვის ბოლო ორი წლის მანძილზე სასამართლოებში შეფარდებული ყველაზე მოკლევადიანი განაჩენია. (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## სუბარის უწყება განცხადებას ავრცელებს და დევნილებს აფრთხილებს




ქრთამის აღების ფაქტზე დევნილთა სამინისტროს თანამშრომლის დაკავებასთან დაკავშირებით სამინისტრო სპეციალურ განცხადებას ავრცელებს და დევნილ მოსახლეობას მოუწოდებს, საეჭვო შეთავაზებებს არ ენდონ და მსგავსი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში სამართალდამცავ სტრუქტურებს ან სამინისტროს მიმართონ:

– 2012 წლიდან დღემდე, თაღლითობის ფაქტზე სამინისტროს 2 თანამშრომელია დაკავებული, ხოლო ფინანსური მაქინაციების ბრალდებით 4 თანამშრომელი, რომელთა საქმეებიც გადაგზავნილია პროკურატურაში და მიმდინარეობს ძიება. ყველა ზემოაღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობდა სამართალდამცავ სტრუქტურებთან, გარდა უკანასკნელი შემთხვევისა. აღნიშნული ფაქტი, სამინისტროსთვის მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა სამინისტროს თანამშრომელი დააკავა. აქვე, კიდევ მივმართავთ დევნილ მოსახლეობასა და საზოგადოებას - არ დაუჯეროთ მსგავს შეთავაზებას. ბინების განაწილება ხდება კომისიურად, ღიად და გამჭვირვალედ. ყოველი ასეთი ფაქტი გამოაშკარავებული იქნება. მოვუწოდებთ დევნილებს, რომ მსგავსი ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში მიმართონ სამართალდამცავ სტრუქტურებს ან სამინისტროს ანონიმურობა დაცული იქნება, - აღნიშნულია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

## „ყველა უნდა დაიკითხოს, ვისაც რაიმე შეხება ჰქონდა ამ ინციდენტთან" - ომბუდსმენი მერაბიშვილის საქმეზე



ვანო მერაბიშვილის ციხიდან გაყვანის ფაქტზე მთავარ პროკურატურაში საქმის ძიების დაწყებაზე განმარტება გააკეთა სახალხო დამცველმა. უჩა ნანუაშვილი საქმეში მონაწილე ყველა პირის დაკითხვის აუცილებლობაზე საუბრობს.

– ჩვენ პირველივე დღიდანვე ვაცხადებდით, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება უნდა დაწყებულიყო. ამაზე არაერთი განცხადება გავაკეთეთ, სახალხო დამცველის ანგარიშებში იყო შესული ეს საკითხი და მეორდებოდა თითქმის 2 წლის განმავლობაში. მისასალმებელია, რომ როგორც იქნა, ევროსასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ეს პროცესი დაიწყო. ყველა ის პირი უნდა დაიკითხოს, ვისაც რაიმე შეხება ამ ინციდენტთან ქონდა, - განმარტა უჩა ნანუაშვილმა. (პირველი რადიო)

## „არ მგონია, რომ სწორი იყოს იმ პატიმრების წახალისება, რომლებიც ასეთი დაუმორჩილებელი სტანდარტებით მოქმედებენ"



პროკურატურაში ვანო მერაბიშვილის ციხიდან გაყვანის ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულ გამოძიებაზე ფრაქცია „ქართული ოცნების" წევრი გედევან ფოფხაძე ამბობს, რომ არ არის სწორი იმ პატიმრების წახალისება, რომლებიც დაუმორჩილებელი სტანდარტებით მოქმედებენ.

– რომ არა სტრასბურგის გადაწყვეტილება, მე ვერ ვხედავდი საჭიროებას. უბრალოდ, სტრასბურგმა ეს გადაწყვეტილება მიიღო და შესაბამისად, შიდა დონეზე ჩვენ იძულებული ვართ ეს გავაკეთოთ. მეორეს მხრივ ეს არის გარკვეული წახალისება იმ მსჯავრდებული ადამიანების, რომელთაც შეუძლიათ ახალ-ახალი ვერსიები შესთავაზონ საზოგადოებას ან საგამოძიებო ორგანოებს იმის თაობაზე, რა ცუდ პირობებში არიან. არ მგონია, რომ სწორი იყოს იმ პატიმრების წახალისება, რომლებიც ასეთი დაუმორჩილებელი სტანდარტებით მოქმედებენ, - განაცხადა ფოფხაძემ. (პირველი რადიო)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



# ვინ ეწევა ხელისუფლებიდან ერთნაირსქესიანთა ქორწინების აკრძალვაზე ხელმოწერების საბოტაჟს

მოძრაობა „ეროვნულების“ ლიდერი სანდრო ბრეგაძე საკუთარი „ფეისბუკის“ გვერდზე იმ ძალებს აფრთხილებს, ვინც მათ ხელს უშლის ე.წ. ერთსქესიანთა ქორწინების ამკრძალავი რეფერენდუმის ხელმოწერების შეგროვებაში: „მოთმინების ფიალა ივსება. თუ არ შეჩერდებით, მხილება აუცილებლად იქნება!!! – წერს ბრეგაძე.

**ვინ და რა ძალები უშლიან ხელს ხელმოწერების შეგროვებას და რაში გამოიხატება ეს?**

**„ალიას“ სანდრო ბრეგაძე ესაუბრა:**

– ჩვენს ხელთ არსებული დადასტურებული ინფორმაციით, ახალი პარლამენტის წინაშე აუცილებლად იქნება დაყენებული ერთგვარი მოთხოვნა – თუ გსურთ საერთაშორისო ევროპულ სტრუქტურებში შემდგომი ინტეგრაცია, მაშინ საქართველოში უნდა დაკანონდეს ე.წ. ერთნაირსქესიანთა ქორწინებაო. სხვათა შორის, „ნაციონალურ მოძრაობას“, „რესპუბლიკურ პარტიას“ თავიანთი საერთაშორისო პარტნიორების წინაშე ეს ვალდებულება უკვე აღებული აქვთ. თქვენ კარგად გახსოვთ, რომ მთელი საქართველო იყო ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების წინააღმდეგი, თუმცა სწორედ უცხოეთიდან ჩარევის შედეგად, პარლამენტი იძულებული გახდა, ეს კანონი მიეღო. აღნიშნული რეფერენდუმი იქნება ერთგვარი ფარი იმისა, რომ სამომავლოდ ვერავინ მოითხოვოს მთავრობის, თუნდაც პარლამენტისგან ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება, რადგან ნებისმიერი მთავრობა თუ პარლამენტი მხოლოდ და მხოლოდ რეფერენდუმის გზით თუ შეძლებს 2016 წლის რეფერენდუმის შედეგების გაუქმებას, რაც თეორიულადაც კი ძალიან რთულია.

ამავე დროს, არსებობს უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომ თუ (და ეს აუცილებლად ასე იქნება) რეფერენდუმში გაიმარჯვებს ქართველი ხალხის ნება და ერთნაირსქესიანთა ქორწინება არ დაკანონდება, მაშინ ეს იქნება თვალსაჩინო მაგალითი ყველასთვის, რომ უცხოეთიდან ვერავინ ვერასოდეს ვერ მოგვახვიოს თავს ის, რაც უცხოა, ქართული ტრადიციებისთვის, ქართული მორალისთვის შეურაცხმყოფელია.

რეფერენდუმის დანიშვნით და მასში უპირობო გამარჯვებით წელში გადატყდება ე.წ. ლიბერასტული და ქართველთმოძულე ძალების ოცნება, გადააკეთონ ქართველი ერი.

**— თქვენს განცხადებაში ვის აფრთხილებთ, რომ თავი დაანებონ რეფერენდუმის გასამართი ხელმოწერების შეგროვებისთვის ხელის შეშლას. ვინ და როგორ გიშლით ხელს?**

– გაჩნდნენ საეჭვო ტიპის რაღაც ჯგუფები, რომლებიც ჯერჯერობით, ვერ დავადგინეთ, ვინ არიან, ყალბი ბლანკებით პარალელურად აგროვებენ ხელმოწერებს. ყველამ უნდა იცოდეს, რომ, თუ ბლანკი ცენტრალური საარჩევნო კომისიის არ არის, მაშინ ის, უბრალოდ, ფარატინა ქაღალდია და მასზე ხელის მოწერას არავითარი ძალა არ აქვს. ამავე დროს, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გიგა ბოკერია და მისი მეგობრები დარბიან და ცდილობენ, საერთაშორისო ორგანიზაციები აიძულონ, რომ მათ მოახდინონ ზეწოლა საქართველოს ხელისუფლებაზე, ჩვენზე, რათა ეს პროცესი შეჩერდეს. ამავე დროს, ჩვენთვის თითქმის ყველა ტელევიზია დახურულია, პირდაპირი დირექტივაა გაცემული, რომ ის ადამიანები, რომლებიც ერთნაირსქესიანთა ქორწინებას ვეწინააღმდეგებით და ამისთვის რეფერენდუმს ვითხოვთ – არ გავჭაჭანდეთ არც ერთ ტელეარხზე, რათა საქართველოს მოსახლეობას ავუხსნათ, რისთვის არის საჭირო ეს რეფერენდუმი. აი, ეს გახლავთ ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რომლითაც ხელს გვიშლიან.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია: გამგეობა იქნება ეს თუ თანამდებობის პირი – ძალიან ბევრი, ჩემდა სამწუხაროდ, უკრძალავს თავის თანამშრომლებს, რომ მათ ხელი მოაწერონ და ხელმოწერები შეაგროვონ. ჩვენ ახლა ყველა ასეთ ფაქტს ვადგენთ და ადრე თუ გვიან, ყველაფერი გაცხადდება, უბრალოდ, მათ უკანასკნელად ვაფრთხილებ, ნუ გვიშლიან ხელს ხელმოწერების შეგროვებაში! მოთმინების ფიალა ნელ-ნელა ივსება და თუ არ შეჩერდებიან, მხილება იქნება საკმაოდ მძიმე და ვისაც ვამხელთ, დარწმუნებით შემიძლია გითხრათ, რომ არჩევნებში ვერ მიიღებს ერთ ხმასაც კი!

**„ჩემდა სამწუხაროდ, ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ხალხში ჩანს, თითქოსდა, მხარს უჭერენ რეფერენდუმის პათოსს, მაგრამ რეალურად ამას ეწინააღმდეგებიან. პირდაპირ გეტყვით: ეს ის ხალხია, ვინც თავის დროზე გვპირდებოდა, რომ პარლამენტში ეს საკითხი გავიდოდა, თუმცა ძალიან კარგად ვხედავთ, რომ ეს ასე არ მოხდა“**

**— ანუ ამ მომენტისთვის უკვე გაქვთ კონკრეტული სახელები და გვარები და უბრალოდ ჯერ გაფრთხილებით შემოიფარგლებით?**

– დიახ. სხვათა შორის, ჩემდა სამწუხაროდ, ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც ხალხში ჩანს, თითქოსდა, მხარს უჭერენ რეფერენდუმის პათოსს, მაგრამ რეალურად ამას ეწინააღმდეგებიან. პირდაპირ გეტყვით: ეს ის ხალხია, ვინც თავის დროზე გვპირდებოდა, რომ პარლამენტში ეს საკითხი გავიდოდა, თუმცა ძალიან კარგად ვხედავთ, რომ ეს ასე არ მოხდა. ეს ადამიანები არა მარტო მე, არამედ საპატრიარქოსაც აძლევდნენ გარანტიებს ამის თაობაზე. კარგი, მე მომატყუეს, მაგრამ როდესაც სასულიერო პირებს და საქართველოს მოსახლეობას ატყუებენ, ასეთი რამეები დაუსჯელი არ რჩება და დარწმუნებით შემიძლია გითხრათ: ყველა ის ადამიანი, რომელმაც მოიტყუა და რომელიც ფარისევლობს, საქართველოს მოსახლეობისგან საკადრის პასუხს მიიღებს.

**— ცესკოს თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ განაცხადა, რომ ამ ეტაპზე ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირებულია ორი სარეფერენდუმო კითხვა, ერთი შეკითხვა უკავშირდება ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაშვებას, ხოლო მეორე უკავშირდება, რა ითვლება და რა შეიძლება იყოს სამოქალაქო ქორწინება და რომ ეს შეიძლება იყოს თუ არა ქალისა და მამაკაცის ერთობა.**

– პირველი სარეფერენდუმო კითხვა დასვა ბატონმა გიორგი ყორღანაშვილმა, ეს მისი ინიციატივა იყო. სამწუხაროდ, ბატონი გიორგი გარდაიცვალა... ჩვენ, გარკვეული დროის შემდგომ, გვქონდა იმ ჯგუფთან შეხვედრა, რომელმაც ეს კითხვა შეიტანა. ჩვენ რამდენიმე დღის წინ ერთმანეთში მოვილაპარაკეთ, ბატონი გიორგი ყორღანაშვილის ჯგუფიც შემოგვიერთდა სარეფერენდუმო კითხვის შესახებ ხელმოწერებში.

**— ცესკოში აღნიშნული კითხვის დარეგისტრირება მხოლოდ ნახევარი საქმეა და რა ვადაში უნდა შეგროვდეს ხელმოწერები?**

– დარეგისტრირებული კი არის, მაგრამ იმისთვის, რომ საკითხი რეფერენდუმზე დადგეს, საჭიროა, მინიმუმ, 200 ათასი ამომრჩევლის ხელმოწერა, რომელიც ჩვენ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უნდა მივიტანოთ. შემდეგ ცესკოდან საქართველოს პრეზიდენტს გადაეგზავნება მოთხოვნა, რომ დანიშნოს რეფერენდუმი ამ საკითხთან დაკავშირებით. რაც შეეხება ვადას: სამი თვის ვადა გვაქვს, მაგრამ იმისთვის, რომ აღნიშნული რეფერენდუმის დანიშვნა მოესწროს 8 ოქტომბრისთვის და პროცედურები იქნას გავლილი, ჩვენ სულ ორი კვირა გვაქვს დარჩენილი. დღეის მონაცემებით, შეგროვებულია 50 ათასამდე ხელმოწერა. ვფიქრობთ, რომ ამ ორი კვირის ვადაში შევაგროვებთ, დაახლოებით, 250 ათას ხელმოწერას და ამ ყველაფერს ცესკოს ჩავაბარებთ. ამის შემდეგ, ხელმოწერების შეგროვება მაინც გაგრძელდება და ვფიქრობთ, რომ ერთი თვის ვადაში, დაახლოებით, მილიონ ხელმოწერამდე ავალთ.

**— საჭირო რაოდენობის ხელმოწერის შეგროვების შემდეგ, როდესაც ცესკო განაცხადს გადაუგზავნის პრეზიდენტს, მარგველაშვილს არ აქვს უფლება, უარი განაცხადოს მის დაკმაყოფილებაზე? ადმინისტრაციაში იტყვიან რა მნიშვნელობა აქვს ამ კითხვის რეფერენდუმზე გატანას, როდესაც სამოქალაქო კოდექსით ისედაც განსაზღვრულია, რომ ქორწინება ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირიაო?**

– პრეზიდენტი რას იტყვის და რას არა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან, როდესაც მილიონი ქართველი მოითხოვს ამ საკითხის რეფერენდუმზე დაყენებას, პრეზიდენტი რაც არ უნდა სხვა აზრზე იყოს, ის ვალდებულია, ანგარიში გაუწიოს საკუთარი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ნებას. პრეზიდენტი, რომელიც მიდის მოსახლეობის ნების წინააღმდეგ, ძალიან ცუდად ამთავრებს და მე არ მინდა, რომ ამ პრეზიდენტმა ცუდად დაამთავროს. საქართველოს მოსახლეობას და ქართველ ერს არავისთან სახვეწნი არ აქვს, გინდა პრეზიდენტი იყოს, გინდა პრემიერი, გინდა სხვა – ქართველ ერს აქვს თავისი გამოხატული ნება და დღეს ეს ნება არის ის, რომ საქართველოში არასოდეს დაკანონდეს ერთნაირსქესიანთა ადამიანების ქორწინება! თუ ვინმეს კითხვის ნიშნები უჩნდება იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა ეს საქართველოს მოსახლეობის ნება, ჩატარდება რეფერენდუმი და მე გაძლევთ გარანტიას, რომ, მინიმუმ, 98 პროცენტი დაიკავებს იმ პოზიციას, რომელი პოზიციაც აკრძალავს საქართველოში ამ ტიპის ქორწინებას.



**„პრეზიდენტი რაც არ უნდა სხვა აზრზე იყოს, ის ვალდებულია, ანგარიში გაუწიოს საკუთარი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის ნებას. პრეზიდენტი, რომელიც მიდის მოსახლეობის ნების წინააღმდეგ, ძალიან ცუდად ამთავრებს და მე არ მინდა, რომ ამ პრეზიდენტმა ცუდად დაამთავროს. საქართველოს მოსახლეობას და ქართველ ერს არავისთან სახვეწნი არ აქვს, გინდა პრეზიდენტი იყოს, გინდა პრემიერი“**

## ელენე ხოშტარია: ხელისუფლებას არ გააჩნია არანაირი რეალური გეგმა, რათა საპარლამენტო არჩევნები იყოს მშვიდობიანი



– ხელისუფლებას არ გააჩნია არანაირი რეალური გეგმა, რათა საპარლამენტო არჩევნები იყოს მშვიდობიანი, - განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის" წევრმა ელენე ხოშტარიამ.

– მთავარი გამოწვევა მშვიდობიანი გარემოსი არის სწორედ ხელისუფლების ქმედება, რომელიც ებრძვის თავისუფალ მედიას, რომელიც აქეზებს ძალადობას უკვე წლების განმავლობაში, რომლის აგრესიული გამოვლინება იყო კორცხელის ინციდენტი, რომელიც არა თუ არ გამოიძიეს, არამედ ეცადნენ მის გამართლებას და ახსნას. ამასთანავე, ჩვენ ვხედავთ, რომ პირი, რომელიც უშუალოდ იყო დაკავშირებული კორცხელის ინციდენტის ორგანიზებასთან, დაინიშნა საარჩევნო შტაბის უფროსად, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ არანაირი რეალური განცდა და რეალური გეგმა ხელისუფლებას იმისა, რომ არჩევნები იყოს მშვიდობიანი, არ გააჩნია, - განაცხადა ელენე ხოშტარიამ. (ინტერპრესნიუსი)

● **„ოცნება" რა უუნაროცაა, გადასარევად არის ცნობილი, თუმცა „ნაციონალური მოძრაობის" ასეთი განცხადებები მხოლოდ ერთ რამეს ნიშნავს — არჩევნებისთვის ისინი ყველანაირ პროვოკაციაზე წავლენ და სიტუაციის უკიდურესად დაძაბვას არ მოერიდებიან.**

## „მერაბიშვილს მისი ციხიდან გაყვანისა და პროკურატურაში მიყვანის ამბავი მოელანდა" - ყოფილი პროკურორი

ყოფილი მთავარი პროკურორი ოთარ ფარცხალაძე ვანო მერაბიშვილის საქმეზე ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას აფასებს.

მისი თქმით, სასამართლომ დადგენილება მერაბიშვილის არარეალურ მონათხრობზე დაყრდნობით გამოიტანა.

– რას ამბობს სასამართლო, ფარცხალაძემ გაიყვანა ციხიდან მერაბიშვილიო?! რა განცდა დარჩა ეგ არის ევროსასამართლოს საკითხი და გადასაწყვეტი, მე არ ვიცი, რა განცდა დარჩა, - აცხადებს ფარცხალაძე.

„რუსთვი 2"-ის ინფორმაციით, ფარცხალაძე ასევე აცხადებს, რომ მერაბიშვილს მისი ციხიდან გაყვანისა და პროკურატურაში მიყვანის ამბავი მოელანდა. (pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## მობილური კომუნიკაციის ტარიფების სიძვირით საქართველო მსოფლიოში მოწინავეა



ბოლო დროს თვალშისაცემად გაძვირებული მობილური კავშირგაბმულობის ტარიფები, შესაძლოა, შემცირდეს.

მთავრობა და მარეგულირებელი კომისია ცდილობენ სხვადასხვა მექანიზმით ტარიფის კლება გამოიწვიონ, მაგრამ ბაზარზე საპირისპირო ვითარებაა. ბოლო პერიოდში 1 წუთის ღირებულება მუდმივად იზრდება.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის ხელმძღვანელმა ზურაბ ტყემალაძემ კანონპროექტი შეიმუშავა, რომელიც 2018 წლის 1-ელი იანვრიდან მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გამწევ პირებს აქციზის გადასახადს უუქმებს. პარლამენტი კანონპროექტს დაჩქარებული წესით განიხილავს და ჯერჯერობით არანაირი წინაღობა არ შეხვედრია. დიდი ალბათობით, კანონპროექტი დამტკიცდება კიდეც.

კანონპროექტის მიხედვით, მობილური საკომუნიკაციო მომსახურებისათვის დაწესებული აქციზის არსებული 8 პროცენტიანი განაკვეთი 2017 წლის 1-ელ იანვრამდე შენარჩუნდება, ხოლო 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1-ელ იანვრამდე განაკვეთი 3 პროცენტამდე შემცირდება.

„ტელეკომ ოპერატორების ასოციაციის" ხელმძღვანელი უჩა სეთური მიიჩნევს, რომ აქციზის გადასახადის გაუქმება კომპანიებს სატარიფო პოლიტიკის გადახედვისა და მისი შემცირების შესაძლებლობას მისცემს. მისივე თქმით, თავის დროზე, როდესაც მობილური საკომუნიკაციო მომსახურების გაწევაზე აქციზის 10 პროცენტიანი განაკვეთი დაწესდა, კომპანიები ამას დადებითად არ შეხვედრიან, რადგანაც ეს პირდაპირი ხარჯი იყო მათთვის.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფიჭური კავშირგაბმულობა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. ტარიფების სიდიდით საქართველო მსოფლიოში ერთ-ერთი მოწინავეა. ამას ემატება ისიც, რომ ბოლო პერიოდში მობილური ოპერატორები მუდმივად ზრდიან მომსახურების საფასურს.

ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია მიიჩნევს, რომ საჭიროა კომუნიკაციების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ კიდევ ერთხელ მოახდინოს ფიჭური კავშირგაბმულობის ბაზრის კვლევა და შეამციროს არსებული მაქსიმალური ზღვრული ტარიფი.

– გასათვალისწინებელია, რომ თუკი 6 წლის წინ კომპანიებს 1 წუთის ღირებულება 15-16 თეთრი უჯდებოდათ, დღეს ეს ყველაფერი გაცილებით ნაკლები ჯდება, რადგან ტექნოლოგიები მუდმივად ვითარდება. მაშინ, როდესაც მსოფლიოში ტარიფები მცირდება, ჩვენთან იგი მაქსიმალურ დასაშვებ ზღვრამდე არ უნდა იზრდებოდეს, - აცხადებენ აფბაში. (daijesti.pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „ვანო მერაბიშვილი არის დამნაშავე, მაგრამ ის არის მოქალაქე, რომლის უფლებებიც უნდა იყოს დაცული"

„ეროვნული ფორუმის" ერთ-ერთი ლიდერი ანი მიროტაძე აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, სტრასბურგის სასამართლოს უსწრაფესად გასცეს პასუხი და დაიწყოს გამოძიება.

ანი მიროტაძის განცხადებით, მისთვის ვანო მერაბიშვილი დამნაშავეა და მის ბრალთან დაკავშირებით, კითხვები არ აქვს.

– ამ სისხლიანი რეჟიმის არქიტექტორი ვანო მერაბიშვილი იყო თავის „ძმებთან" ერთად, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადამიანის, რომელიც არის დამნაშავე, უფლებები უნდა დაირღვეს. იმ ფაქტებით, რომელიც ჯერჯერობით წარმოდგენილია და ამაზე ხელისუფლების მხრიდან, პასუხი არავის გაუცია, ჩნდება კითხვის ნიშნები, რაზეც პასუხი არის გასაცემი, - განაცხადა ანი მიროტაძემ

ის არ არის დარწმუნებული, რომ დაცვის მხარის მტკიცებულებები სიმართლეს შეესაბამება, მაგრამ მიიჩნევს, რომ საჭირო იყო საქართველოს მიერ წარდგენილი საპასუხო მტკიცებულებები, რომელიც



საქმეში არ დევს, რაც იმას ნიშნავს, რომ თავის დროზე, იმ ადამიანებმა ვინც საჭიროდ არ ჩათვალეს ფაქტის გამოძიება, დიდი ზიანი მიაყენეს საქართველოს.

– ჩემთვის ვანო მერაბიშვილი არის დამნაშავე, მაგრამ ის ასევე არის მოქალაქე, რომლის უფლებებიც უნდა იყოს დაცული, ვინაიდან ყველას იცავს კონსტიტუცია, - აღნიშნა მიროტაძემ. (pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## არამდგრადი ამინდების შემთხვევაში, გლდანულაში შეიძლება, მეწყერი განვითარდეს



– არმდგრადი ამინდის პირობებში, წყალმოვარდნის საფრთხე არა მხოლოდ კრწანისში, ლელვთახევის ტერიტორიაზეა, არამედ გლდანულაშიც მოსალოდნელია, - ამის შესახებ „საქართველოს მწვანეები — დედამიწის მეგობრების" ხელმძღვანელი ნინო ჩხობაძე აცხადებს.

– დიდ საფრთხეს ვხედავთ გლდანულაზე, რადგან შარშან, გარემოს დაცვის სააგენტომ შეისწავლა და როგორც მათ განაცხადეს, დაახლოებით, 60-მდე მეწყერის სხეული იყო აღმოჩენილი. არამდგრადი ამინდების დროს, შეიძლება, მეწყერის განვითარება მოხდეს.

არანაკლებ პრობლემატურია დიდუბის პატარა მდინარე, რომელიც აგრეთვე მოსახლეობაში შემოდის. სამწუხაროდ, ის ნაგვითაც დაბინძურებულია და პრობლემას ქმნის. დიდი რაოდენობის ნარჩენებია. ვგულისხმობ ასევე, დიღმულას, რომელშიც ნაგავია ჩაყრილი. ვფიქრობ, დაბინძურების საკითხი, ეს არის საკმაოდ სერიოზული პრობლემა, რომელიც ბევრ პატარა მდინარეს ეხება, - განაცხადა ჩხობაძემ.

მისივე განცხადებით, პირველ რიგში, რაც ამ ეტაპზე უნდა გაკეთდეს, ეს მდინარის კალაპოტებში გაწმენდითი სამუშაოების ჩატარებაა, რადგანაც არამდგრადი ამინდების შემთხვევაში, დაბინძურების პრობლემა მოსალხეობისთვის სერიოზულ საფრთხეს ქმნის. (pia.ge)

## „რესპუბლიკური პარტია" 50-მდე წევრმა დატოვა



„რესპუბლიკური პარტია" 50-მდე წევრმა დატოვა – „რუსთავი 2"-ის ინფორმაციით, დიდუბის ოფისის წევრების ამ გადაწყვეტილების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ლიდერების მიერ „ქართულ ოცნებასთან" ორპარტიული გადაწყვეტილების გაფორმება გახდა.

მათი განცხადებით, პარტიიდან წასულები ამ ეტაპზე არც ერთ პოლიტიკურ გუნდთან თანამშრომლობას არ გეგმავენ.

ყოფილმა „რესპუბლიკელებმა" განცხადება „რესპუბლიკელების" ოფისში უკვე გადააგზავნეს. (pia.ge)

## „არ შეიძლება, რომ ვალი გქონდეთ ათასი ლარი და დაგიყადაღონ მილიონის ღირებულების ქონება"



იურიდიულ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტმა „სამოქალაქო საპროცესო კოდექსში" შესატანი ცვლილებები დაჩქარებული წესით განიხილა. ცვლილებებს შორის, საკითხი ეხება სარჩელის უზრუნველყოფის ნორმასაც, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ „რუსთავი 2"-ის საქმესთან დაკავშირებით არის შეჩერებული.

პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძის განცხადებით, კომიტეტის მიერ „სამოქალაქო საპროცესო კოდექსში" ცვლილებების დაჩქარებული წესით განხილვა არანაირ კავშირში არ არის „რუსთავი 2"-თან.

– ის, რაც დარჩა აქ, არაფერი არ არის პოლიტიკური. ეს არის აბსოლუტურად სწორი. აქამდეც ასე უნდა ყოფილიყო და არ შეიძლება, რომ თქვენ ჩემი ვალი გქონდეთ, სიტყვაზე – 1000 ლარი და მე თქვენ დაგიყადაღოთ ერთი მილიონის ღირებულების ქონება. ეს არანაირად არ არის სწორი. ხდება ამის გასწორება. არანაირ კავშირში ეს „რუსთავი 2"-თან არ არის. პროექტში იყო ნორმა, რომელიც ეხებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ შეჩერებული ნორმის მსგავსი ნორმის მიღებას. საკომიტეტო განხილვის შემდეგ, ეს ნორმა პროექტიდან ამოღებული იქნება, - განაცხადა ხმალაძემ. (news.ge)

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19



# რა აზრი ჰქონდა პარტიებისთვის ეთიკის კოდექსის შემოღებას, თუკი დამრღვევი არ დაისჯება?



პოლიტიკურ პარტიებს წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვა ეთიკის ნორმების ფარგლებში მოუწევთ. ეთიკის წესები დეპუტატმა, ვიქტორ დოლიძემ განსაზღვრა, რომელსაც „რესპუბლიკური პარტია“, „თავისუფალი დემოკრატები“, „კონსერვატორები“, „ქართული ოცნება“, „მრეწველები“ და „ეროვნული ფორუმი“ უერთდებიან, „ნაციონალური მოძრაობა“ კი, დოკუმენტს „თვალებში ნაცრის შეყრად“ აფასებს და განცხადებაზე ხელის მოწერას არ აპირებს. საარჩევნო პერიოდში ეთიკის რა წესები იმოქმედებს, ეს ვიქტორ დოლიძის მიერ შემუშავებულ დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი, რომელსაც პარლამენტი 22 ივნისის პლენარულ სხდომაზე განიხილავს და მიიღებს კიდეც.

მართალია, დოკუმენტით, ეთიკის წესების დარღვევისთვის სანქციები დაწესებული არ არის, მაგრამ განცხადების პროექტში აღნიშნულია, რომ პოლიტიკურმა პარტიებმა უარი უნდა თქვან სიძულვილის ენაზე, ან ისეთი გამონათქვამების გამოყენებაზე, რომელიც არის პროვოკაციული, ცილისმწამებლური, ღირსების შემლახველი, ქსენოფობიური, შეიცავს მუქარას, ან ადამიანს ნებისმიერი ფორმის ძალადობისკენ უბიძგებს.

**როგორ შეძლებენ პოლიტიკური პარტიები სანქციების გარეშე ცემატყეპასა თუ შეურაცხყოფაზე უარის თქმას? რატომაა აუცილებელი მსგავსი დოკუმენტის ძალაში შესვლა?**

**„ალიას“ ვიქტორ დოლიძე ესაუბრა:**

**— ბატონო ვიქტორ, თქვენ მიერ ინიცირებულ დოკუმენტს, რომელიც პოლიტიკოსებს ეთიკის ნორმების დაცვისკენ მოუწოდებს, განსაკუთრებით წინასაარჩევნოდ, პარლამენტში არსებული თითქმის ყველა პარტია ეთანხმება და ხელს აწერს, „ნაციონალების“ გარდა, თუმცა ამ ცვლილების დამტკიცების შემთხვევაში, თუ პოლიტიკური პარტია დაარღვევს ამ შეთანხმებას, რაიმე კონკრეტულ სასჯელს არ ითვალისწინებს კანონი, მაშინ რაღა აზრი აქვს ქცევის ნორმაზე დოკუმენტის არსებობას?**

– ეს არ არის საკანონმდებლო აქტი ან სავალდებულო დოკუმენტი, უფრო პოლიტიკური ხასიათისაა, პოლიტიკურ პასუხისმგებლობას იღებს პარლამენტის ის ნაწილი, რომელიც ხელს აწერს და თანხმდებიან, რომ შეასრულებენ ამას. როცა პოლიტიკურ პასუხისმგებლობას იღებ, თან ხელისუფლებაში ხარ, ოპოზიციაში მყოფი პარტიისთვის ეს ერთგვარი პრევენციაც არის, იმ უმსგავსობების მიმართ, რაც შესაძლებელია, რომ მოხდეს. ამავე დროს, ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ პოლიტიკური კულტურის ამაღლების კუთხით მივდივართ, ამომრჩეველს პატივს ვცემთ და ცემა-ტყეპით, ზიზღის ენით და სხვა არასასურველი მეთოდებით კი არ ვებრძვით ერთმანეთს, არამედ ვებრძვით პროგრამებით, პლატფორმებით, რაც უნდა დავანახოთ საზოგადოებას და მივცეთ საშუალება, რომ ამაზე დაფუძნებული თავისუფალი არჩევანი გააკეთოს. სწორედ ამას ემსახურება ეს დოკუმენტი, ევროპარლამენტარებთან ერთად შევიმუშავე, ბოლო 2-3 თვის განმავლობაში ამაზე ვმუშაობდით. იმედია, პარლამენტი დაამტკიცებს და მიიღებს.

**— კორცხელის ინციდენტის შემდეგ, იუსტიციის სამინისტრომაც შეიმუშავა კანონპროექტი, რომელიც გამკაცრებულ სასჯელს ითვალისწინებს მსგავს შემთხვევებზე, თუმცა პარლამენტიდანაც და გარკვეულ პოლიტიკურ პარტიებთან დაახლოებული ადამიანები აცხადებენ, რომ პროვოკაციაზე და გინებაზე წამოგებას ძირითადად „ნაციონალები“ ცდილობენ, დედის გინებაზე რეაქცია კი პარლამენტარსაც შეიძლება ჰქონდეს. რატომ გგონიათ, რომ არასავალდებულო წესს დაიცავს ვინმე?..**

– ასე თუ შევხედავთ, ეს იმას ნიშნავს, რომ მაშინ არაფერი არ უნდა ვაკეთოთ, მივყვეთ იმ დინებას, რომელი დინებითაც აქამდე ქვეყანა ცხოვრობდა. ჩვენ, ყველა, უნდა შევეცადოთ და შევძლოთ, რაღაც გამოვასწოროთ, მეტი მოთმინება გვმართებს. მსგავსი სახის პოლიტიკური შეთანხმება, წინასაარჩევნო პერიოდში, რომელიც მიზნად ისახავდა ისეთი რაღაცების კეთებას, ან არკეთებას, აქამდე არ ყოფილა და მით უმეტეს, პოლიტიკური პასუხისმგებლობა ამაზე პარტიებს არ აუღიათ. მიუხედავად ბევრი მცდელობისა, აქამდე არ გამოდიოდა შეთანხმება. ახლა მოხერხდა, პარლამენტში არსებული პოლიტიკური ძალების ძირითადმა ნაწილმა ხელი მოაწერა, შესაძლოა, სხვებმაც იგივე გააკეთონ. ჩვენ უნდა შევეცადოთ, ჩვენი გავაკეთოთ, თუ არ ვცდით, მაშინ არაფერს აზრია არ ჰქონია.

**— „ნაციონალური მოძრაობა“ უარს ამბობს ამ შეთანხმების ხელმოწერაზე და არც კანონპროექტის მხარდაჭერას აპირებს, ჯერ კორცხელის ინციდენტის მონაწილეები დასაჯონო... ეს უბრალო საბაბია და სამომავლოდ თავს იზღვევენ, რომ მერე თქვან, ხომ ვამბობდით, ეს ეთიკის დოკუმენტი კედელზე ცერცვის შეყრააო?**

– ჯერჯერობით არ აწერენ, იმედია, მოაწერენ. პროვოკაცია თუ მოაწყვეს და სიტუაციის არევას შეეცადნენ, ამას არავინ აპატიებთ, ამაში ორი აზრი არ არის. აქ საუბარია პოლიტიკურ და აპოლიტიკურ ქცევის წესებზე, რომელიც განსაზღვრავს ნორმალურ საარჩევნო გარემოს ქვეყანაში და ვფიქრობ, არაფერი მიუღებელი აღნიშნულ დოკუმენტში არ წერია. ყველა პოლიტიკურმა პარტიამ რომ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა არჩევნების ნორმალურად, დემოკრატიულად ჩატარებაზე, ამაზეა საუბარი. ძალიან ცუდი იქნება ვინც არ დაეთანხმება, ეს იქნება ერთგვარი გამოვლინება დესტრუქციული პოლიტიკისა და ქვეყანას არ წაადგება. ქვეყნის გარეთ, ამერიკასა თუ ევროპაში, კოლეგები, საპარლამენტო თუ აღმასრულებელ დონეზე მიესალმებიან ამ შეთანხმებას და აღნიშნავენ, რომ კარგია, რასაც მივაღწიეთ, წინგადადგმული ნაბიჯია, რომლის შესრულებაზეც ყველამ ერთად უნდა ვიზრუნოთ. მეტი რანაირად უნდა ავუხსნათ, მე აღარ ვიცი.

**— აკრძალული თამაშის წესებზე მინდა გკითხოთ. გუშინ თქვენი პოლიტიკური გუნდიდან გაკეთდა განცხადებები, რომ აბაშაში „თავისუფალი დემოკრატების“ რაიონული ორგანიზაციის დაშლასა და „ოცნებასთან“ შეერთებაში სუს-ის ხელი ურევია, რომ ხელისუფლება დაშინების გზით ცდილობს ადამიანების გადაბირებას. გულწრფელად გჯერათ, რომ ხელისუფლება ამ ქარტიას შეასრულებს?**

– ძალიან სამწუხაროა, რომ ამ დოკუმენტზე შეთანხმების პარალელურად მსგავსი ფაქტები ხდება. მაგრამ მართალი გითხრათ, წამსვლელი რაც უფრო მალე წავა, მირჩევნია, მატება გვაქვს ახალი სახეების, მათ შორის რეგიონებში და ამიტომ ნაკლებად საფიქრალია წამსვლელები. ისე, რა თქმა უნდა, შანტაჟით, დაშინებით იქნება ეს თუ სხვა ამგვარი მეთოდებით, პარტიის წევრების გამოგლეჯა, მე მგონი, არ არის ის თამაშის წესები, რომელიც მოცემულია თუნდაც ამ დოკუმენტში და ხელისუფლების სისუსტეზე მეტყველებს.

**— ივანიშვილმა ეკონომიკურ ექსპერტებთან და სპეციალისტებთან შეხვედრაზე ქვეყანაში არასტაბილური გარემოს შექმნაში ოპოზიციური პარტიები და მედია დაადანაშაულა. მისი მტკიცებით, ეკონომიურად მძიმე ფონის წარმოჩენითა და აბსურდული დაპირებებით ქვეყნის სტაბილურობას ხალხს უქმნიან ქვეყნის ხელისუფლების ოპონენტები, გამოდის, რომ ხელისუფლება არაფერ შუაშია და ქვეყანაში ყველაფერი კარგადაა? საფუძვლიანი კრიტიკის კატეგორიული მიუღებლობა აქვს აშკარად დე ფაქტო მმართველს?**

– სხვა სამყაროში ცხოვრობს აშკარად, როცა ასეთ განცხადებებს აკეთებს ადამიანი. არ ვიცი, რომელი პოლიტიკური ძალა ჰყავს მხედველობაში, მაგრამ დღეს ეკონომიკას, ხალხს ძალიან უჭირს და ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯებია გადასადგმელი. მისი გუნდის გარდა, არავინ არ დაობს. არ ვიცი, სტაბილურობისთვის საფრთხის შექმნაში რას გულისხმობს, დესტაბილიზაციის ფაქტორებში ვის და რას გულისხმობს, გაუგებარია. მოსახლეობის დაშინების მცდელობას უფრო ჰგავს ეს, ვინაიდან ამის საფრთხე რეალურად დღეს ნამდვილად არ ჩანს.

**„სხვა სამყაროში ცხოვრობს აშკარად, როცა ასეთ განცხადებებს აკეთებს ადამიანი. არ ვიცი, რომელი პოლიტიკური ძალა ჰყავს მხედველობაში, მაგრამ დღეს ეკონომიკას, ხალხს ძალიან უჭირს და ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯებია გადასადგმელი“**

*მესამე გვერდიდან*

## ზაზა ხატიაშვილი:

# „დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები, ეს საქმე ბიძინა ივანიშვილსაც შეიწირავს და ირაკლი ღარიბაშვილსაც“



პოლიტპატიმარი ეწოდოს. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ეს სტატუსი მას მიანიჭა საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, კერძოდ, მინისტრმა თეა წულუკიანმა. პროკურატურის ზემდგომი ორგანო იყო იუსტიციის სამინისტრო, როცა მთავარმა პროკურორმა, ოთარ ფარცხალაძემ ვანო მერაბიშვილი ციხის საკნიდან გამოიყვანა და მას სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის, დიმიტრი დარბაისელის კაბინეტში შეხვდა. **ხელისუფლებამ გაავრცელა ინფორმაცია, ციხეში დამონტაჟებული კამერების ჩანაწერები მხოლოდ 24 საათით ინახება, მერე ავტომატურ რეჟიმში იშლება და რადგან ჩანაწერები არ გვაქვს, გამოძიების დაწყებას აზრი არ აქვს, მტკიცებულებები არ არსებობსო.**

– ეს ძალიან დიდი სისულელეა. შალვა თათუხაშვილის საეჭვო ვითარებაში გარდაცვალების საქმე ხომ გახსოვთ? მაშინ თათუხაშვილის მხარე აცხადებდა, რომ ის მთავარი პროკურატურის შენობაში აწამეს და პროკურორებმა სადე მივდივართ ამ ხელისუფლების ლოგიკით, ეს სისულელე დაიჯეროთ, გვეუბნებიან. ამნაირ დიდ სისულელეებს ესენი ბევრს ლაპარაკობენ. არ უნდოდა თეა წულუკიანს ამ საქმის გამოძიება, ხელი დააფარა ოთარ ფარცხალაძესა და კიდევ სხვებს ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან და ამიტომ არ გამოიძიეს ეს საქმე. აი, ეს არის სიმართლე. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ამ საქმეს ნორმალურად არ გამოიძიებენ და ეს საერთაშორისო გამოძიების საქმე გახდება. პასუხისმგებლობას როგორც საჭიროა. ამათ ეს საქმე რომ გამოიძიონ ობიექტურად, მაშინ ფარცხალაძე, დარბაისელი და ბიძინა ივანიშვილი უნდა ჩასვან ციხეში. ახლა ამას გააკეთებს პროკურატურა? ქვეყნის მთავარ ფეოდალს, ივანიშვილს ბუზს აუფრენს ვინმე?

ამათ მართლა არა აქვთ არც ტვინი და არც თავმოყვარეობა. „ნაცმოძრაობას“ გაუჭრელი კოზირი მისცეს ხელში. მათთვის ეს არის ისეთივე საქმე საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც „გირგვლიანის საქმე“ იყო სააკაშვილის ოპოზიციისთვის. ამ კოზირს კი, ცხადია, ხელისუფლების წინააღმდეგ გამოიყენებენ. უბედურება კიდევ ის არის, რომ თეა წულუკიანმა ვანო მერაბიშვილს მიანიჭა პოლიტპატიმრის სტატუსი, ფორმალურია თუ არაფორმალური ეს სტატუსი, დღეს მთელი საერთაშორისო საზოგადოება ასე მოიხსენიებს მას. იმ ვანო მერაბიშვილს, რომლის კისერზეც არაერთი სავარაუდო დანაშაულია. იმის ნაცვლად, რომ ვანო მერაბიშვილისა და ზოგადად, მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლთ ჰქონოდათ პოლიტპატიმრის სტატუსი და სავარაუდოდ, ეს არაერთ ადამიანს ეკუთვნოდა, ამისთვის ხელისუფლებამ ხელი არ გაანძრია და ახლა, სააკაშვილის რეჟიმის მთავარ საყრდენს აღიარებს პოლიტპატიმრად საერთაშორისო საზოგადოება. ამას საკუთარი ხალხის მტერი ხელისუფლების გარდა, სხვა არავინ გააკეთებდა. ესენი თუ არ მოშორდნენ არჩევნების შემდეგ, ისეთ რაღაცებს გააკეთებენ, გასაქცევად გვექნება ყველას საქმე.

წულუკიანს იმდენი ჭკუაც არ ეყო, რომ, დავუშვათ, გამოძიება ჩაეტარებინათ და მერე გამოძიებას ეთქვა, ვანო მერაბიშვილის საკნიდან გამოყვანის ფაქტი, ანუ დანაშაული არ დადასტურდაო. პროკურატურას დადგენილება რომ გამოეტანა, დანაშაული არ დადასტურდაო, იმ მე-18 მუხლს არ გამოიყენებდა სტრასბურგის სასამართლო. გასაოცარი რა არის, იცი? თეა წულუკიანი თავად მუშაობდა სტრასბურგის სასამართლოში და ჭკუა არ ეყო, რომ ეს საქმე ფორმალურად მაინც გამოეძიებინა, როცა დარწმუნებული ვარ, წინასწარ იცოდა, რომ სტრასბურგი ამ ამბავს არ აპატიებდა.

— **როცა ამ საქმეზე გამოძიების დაწყებას ითხოვდნენ ვანო მერაბიშვილის ადვოკატები, მაშინ ხე**სურველი ჩვენება გამოსძალეს. რამდენიმე დღე იყო გასული ამ განცხადებიდან და პროკურატურამ წარმოადგინა კამერების ჩანაწერები, შალვა თათუხაშვილი მთავარი პროკურატურის შენობაში როგორ გადაადგილდებოდა და ტუალეტში რომ შედიოდა, ისიც კი. როგორ ფიქრობთ ახლა, პროკურატურაში რამდენიმე დღე ინახავენ კამერების ჩანაწერებს და სასჯელაღსრულების სისტემაში 24 საათში იშლება ავტომატურად? რა გამოდის, რომ პროკურატურაში უფრო დაცულია უსაფრთხოების ნორმები, ვიდრე ციხეებში? პროკურორები და გამომძიებლები უფრო დაცულნი არიან, ვიდრე პატიმრები? ეს არის აბსურდი, უდიდესი სისულელე, მაგრამ აქამვერ გადაურჩებიან ოთარ ფარცხალაძე და დიმიტრი დარბაისელი და მგონი, ბიძინა ივანიშვილსაც დაიჭერენ მათთან ერთად.

— **ბიძინა ივანიშვილი იმ დროს უკვე აღარ იყო პრემიერ-მინისტრი, როცა ფარცხალაძემ, სავარაუდოდ, მერაბიშვილი გაიყვანა საკნიდან და შეხვდა მას.**

– მერე რა? ბიძინა ივანიშვილია ამ ქვეყნის ფაქტობრივი მმართველი, მისი და იმჟამინდელი პრემიერის, ირაკლი ღარიბაშვილის დასტურის გარეშე, ვანო მერაბიშვილს ვერც ციხიდან გამოიყვანდა ვერავინ და ვერც მასთან შეხვედრას გაბედავდა ოთარ ფარცხალაძე. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები, ეს საქმე ბიძინა ივანიშვილსაც შეიწირავს და ირაკლი ღარიბაშვილსაც.

— **თეა წულუკიანს არ მოუწევს პასუხისგება?**

– არა, წულუკიანმა ეს საქმე წააგო სტრასბურგში და ასე ვთქვათ, ადვოკატი იყო. წაგებული საქმის ადვოკატებს კი არ სჯიან. ახლა დაინიშნა ამ საქმეზე გამოძიება, მაგრამ არ გამოიძიებენ ისე,

> **„ამას საკუთარი ხალხის მტერი ხელისუფლების გარდა, სხვა არავინ გააკეთებდა. ესენი თუ არ მოშორდნენ არჩევნების შემდეგ, ისეთ რაღაცებს გააკეთებენ, გასაქცევად გვექნება ყველას საქმე“**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## თბილისის საბავშვო ბაღებში რეგისტრაცია 1-ელ ივლისს დაიწყება



თბილისის საჯარო საბავშვო ბაგა-ბაღებში 2016-2017 სასწავლო-სააღმზრდელო წლისთვის ელექტრონული რეგისტრაციის პროცესი ორ ეტაპად წარიმართება.

პირველი ეტაპი 1-ელ ივლისს 13:00 საათზე დაიწყება, რა დროსაც დარეგისტრირდებიან 100 000-ზე ქვევით სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის ბავშვები (სოციალურად დაუცველი), სსიპ „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს" ფილიალის, ჩვილ ბავშვთა სახლის ბენეფიციარები, „სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს" (შესაბამისი უფლებამოსილების მქონე დაწესებულების) მოწერილობის საფუძველზე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვები, იმ ოჯახის ბავშვები, რომელთა შვილი (შვილები) სარგებლობენ იმავე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მომსახურებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2015 წლის 13-14 ივნისს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბავშვები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ან/და საჯარო სამართლის იურიდიული პირების შუამდგომლობის საფუძველზე.

რეგისტრაციის მეორე ეტაპი 8 ივლისს, 13:00 საათზე დაიწყება და ელექტრონულად დარეგისტრირდება ყველა კატეგორიის ბავშვი.

რეგისტრაცია შესაძლებელია მშობლის მიერ შერჩეულ მხოლოდ ერთ საჯარო ბაგა-ბაღში, თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს ვებ-გვერდზე www.kids.org.ge. (pia.ge)

## აბა, გამოვიდნენ „ნაცები“ და ამაზეც იტლიკინონ!



ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ყოფილი თავმჯდომარე ზურაბ ჭანკოტაძის საქმეზე გადაწყვეტილება გამოაქვეყნა და დაადგინა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ჭანკოტაძის სისხლის სამართლის დევნის შედეგად დაარღვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია. კერძოდ, სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია კონვენციის მეხუთე მუხლის პირველი პარაგრაფი (თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება) და მეექვსე მუხლის პირველი პარაგრაფი (სამართლიანი სასამართლოს უფლება).

სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, სახელმწიფომ ზურაბ ჭანკოტაძეს არამეტარიალური ზიანის ანაზღაურების სახით 20 ათასი ევრო უნდა გადაუხადოს. ასევე, საქართველოს დაეკისრა 15 ათასი ევროს გადახდა ხარჯების კომპენსაციის სახით. ზურაბ ჭანკოტაძე საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თავმჯდომარის თანამდებობას 2002 წლის მარტიდან 2004 წლის მარტამდე იკავებდა. ჭანკოტაძე 2004 წლის მარტში უფლებამოსილებების გადამეტების ბრალდებით დააკავეს. (2030.news)

## ვანო მერაბიშვილი სიცოცხლის ბოლომდე ციხეში უნდა იჯდეს- ნოდარ ჯავახიშვილი



საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრ ვანო მერაბიშვილის პატიმრობასთან დაკავშირებით კომენტარი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა გააკეთა.

ნოდარ ჯავახიშვილის თქმით, ადამიანის უფლებების დარღვევა არა მერაბიშვილის ციხეში ჯდომა, არამედ მისი გარეთ ყოფნა იყო:

– როგორ გგონიათ, ინფრასტრუქტურის მინისტრი იმით უნდა იყოს დაკავებული, ვინმე ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ დაიწყება თუ არა გამოძიება? როგორც მინისტრი, ისე არ ვამბობ, მაგრამ ვანო მერაბიშვილი სიცოცხლის ბოლომდე ციხეში უნდა იჯდეს. მერაბიშვილი ციხეში იჯდება თუ არა, ეს არც არაფორმალურ მმართველობაზე მიუთითებს და არც რაიმე ადამიანის უფლებების დარღვევაზე. ვანო მერაბიშვილი როცა გარეთ იყო, ადამიანის უფლებები მაშინ იყო დარღვეული. ვანოს გვერდით უამრავი მისი ძმა და მეგობარი უნდა იჯდეს, - განაცხადა ჯავახიშვილმა. (ნიუპოსტი)

## მაგდა პაპიძის დამ ჩვენება შეცვალა



თბილისის საქალაქო სასამართლოში მეუღლისა და შვილის მკვლელობაში ბრალდებულის მაგდა პაპიძის საქმის განხილვა გრძელდება. მისმა დამ ლანა პაპიძემ გამოძიებისთვის მიცემული საკუთარი ჩვენება უარყო.

როგორც ლანა პაპიძემ სასამართლოზე განაცხადა, ჩვენება არ წაუკითხავს და ხელი ისე მოაწერა. პაპიძემ ჩვენებაში მოყვანილი ფაქტები, თითქოს მაგდა პაპიძე ბავშვს ცუდად ექცეოდა, საყვარელი ჰყავდა და მეუღლე აღარ უყვარდა, ტყუილია და მეტიც – პანაშვიდის დროს პაპიძისა და ქაფიაშვილის ოთახში სისხლი არ შეუმჩნევია.

– ლურჯმა ნათებამ სისხლის ლაქები რომ გამოკვეთა, შესაძლოა, ომარის სისხლი ყოფილიყო. ომარს გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე ავარია მოუვიდა და ცხვირიდან სისხლი შადრევანივით მოსდიოდა, - განაცხადა მაგდა პაპიძის დამ. (ნიუპოსტი)

## დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე ლტოლვილთა სამინისტროს თანამშრომელი დააკავეს



სახელწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს თანამშრომელი თეკლა ხ. დააკავეს.

– გამოძიებამ დაადგინა, რომ თეკლა ხ-მ აფხაზეთიდან დევნილ მოქალაქეს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროსგან ბინის მიღებაში დახმარების სანაცვლოდ მოსთხოვა და გამოართვა 7000 აშშ დოლარი. გამოძიება დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 338-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ბ" ქვეპუნქტით,რაც სასჯელის სახით 7-დან 11 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს). გამოძიებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო აწარმოებს. (pia.ge)

# ლევან ხაბეიშვილი: „ხელფასიც აქვთ, პრემიაც, დანამატიც და წყალიც მათივე ფულით იყიდონ და ყავაც. ყელში ამოვიდა!“




დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80


მონიტორინგის ცენტრმა „მედიატორმა“ თბილისის მერიასა და საკრებულოში საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ ხარჯვაზე კიდევ ერთი კვლევა ჩაატარა.

**რა ტენდერები გამოაცხადა მერიამ და რისთვის ხარჯავს ქალაქის მთავრობა მილიონობით ლარს?**

**„ალიას“ „მედიატორის“ დამფუძნებელი, ლევან ხაბეიშვილი ესაუბრა:**

– თბილისის მერიამ ახალი ტენდერი გამოაცხადა და დაახლოებით ნახევარი მილიონი გამოყო კვლევისთვის. როგორც საბუთებშია ნაჩვენები, უნდა გამოიკვლიონ თბილისის ზღვის ტერიტორიაზე – სად შეიძლება რომ ბალი გაკეთდეს, სად – საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი, სად – კაფე ან რამე...

— **მერე რა არის ამაში ცუდი?**

– წარმოიდგინეთ, შესწავლაში ხარჯავენ ნახევარ მილიონს და შემდეგ, რომელიმე ობიექტის მოწყობასა და აშენებაში რამდენს დახარჯავენ. დიდი ეჭვი მაქვს, მოწყობაზე არ დაიხარჯება იმდენი, რამდენიც ამ რაღაც კვლევისთვის. გარდა ამისა, ცალკე, 48 ათასი ლარის ღირებულების ტენდერია გამოცხადებული, რომელიც ბაზრის კვლევას ემსახურება. ჩვენ მიგვაჩნია ქალაქის მთავრობამ იმას, რომ პრაქტიკული სამუშაოების მიმართულებით აქვთ საკმაოდ დიდი პრობლემები და ამ დროს მერია დაკავებულია რაღაც კვლევებით, ექსპერიმენტებით და ა.შ.



**რა ტენდერები გამოაცხადეს მერიამ და საკრებულომ?**



1 / 28

ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 04 09/10/ 320

ქ. თბილისი 06.06.2016 წელი

ერთი მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში _ შემსყიდველი) წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე (ვიცე-მერი) ლაშა აბაშიძის სახით და მეორე მხრივ „ფრაისვოთერჰაუსკუპერსი ცენტრალური აზია და კავკასია ბი.ვი.-ს საქართველოს ფილიალი“ (შემდგომში _ მიმწოდებელი), წარმოდგენილი გენერალური წარმომადგენლის / მმართველი პარტნიორის ალტაფ ჯაფერბჰაი ტაპიას სახით, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და მისი გათვალისწინებით, შეთანხმდნენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობებზე და სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების თაობაზე.

**2. ხელშეკრულების საგანი, (შესყიდვის) ობიექტი, შესყიდვის საშუალება, ხელშეკრულების ღირებულება და ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

2.1 ხელშეკრულების საგანია ქალაქ თბილისის ბიუჯეტის სახსრებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურისათვის, თბილისის ზღვის შემოგარენის განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის მომსახურება, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით *„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 27 მაისის #996 განკარგულების შესაბამისად, „ქალაქ თბილისის მერიისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 19 მაისის #1529 განკარგულებით მინიჭებული თანხმობის საფუძველზე* **SMP160001397**.

2.2 ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტია: თბილისის ზღვის შემოგარენის განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის მომსახურება. გასაწევი მომსახურების აღწერა: დავალებები და მიმწოდებლის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია (დანართი #1), საკვლევი არეალი (დანართი #2) და შემსყიდველის მიერ მისაწოდებელი ინფორმაციის ჩამონათვალი (დანართი #3) თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს (სულ დანართი არის 8 (რვა) ფურცელი).

2.3 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 207 680 (ორასშვიდი ათას ექვსას ოთხმოცი) აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში, მაგრამ არაუმეტეს 2016 წლის 27 მაისის საქართველოს მთავრობის განკარგულებით #996 განსაზღვრული თანხისა, ეროვნული ბანკის მიერ გადახდის დღისათვის დადგენილი კურსით. გასაწევი მომსახურების საერთო ღირებულება გამოსახულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის და გასაწევ მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯის გათვალისწინებით.

2.4 კლასიფიკატორის კოდი - **79311400 - ეკონომიკური კვლევა.**

2.5 ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**3. მომსახურების გაწევის პირობები, ვადა და ადგილი**

3.1 მომსახურების გაწევის ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2016 წლის 20 სექტემბრამდე შემდეგი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად:

1) დანართ #1 - ში მოცემულ №1, №2, №3 და №4 პოზიციებზე მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს 9 (ცხრა) კვირის განმავლობაში;

2) დანართ #1 - ში მოცემულ №5 და №6 პოზიციებზე კი №1,2,3 და 4 პოზიციებზე მომსახურების გაწევიდან 5 (ხუთი) კვირის განმავლობაში.



| SPA160016477 | დოკუმენტაცია | შეთავაზებები | შედეგები |
|---|---|---|---|

| | |
|---|---|
| შესყიდვის ტიპი | ელექტრონული ტენდერი |
| განცხადების ნომერი | SPA160016477 |
| შესყიდვის სტატუსი | გამოცხადებულია |
| შემსყიდველი | ქ. თბილისის მერია |
| შესყიდვის გამოცხადების თარიღი | 06.06.2016 21:54 |
| წინადადებების მიღება იწყება | 23.06.2016 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 28.06.2016 12:00 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 292`000.00 GEL |
| წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გათვალისწინებით |
| შესყიდვის კატეგორია | 34900000-სხვადასხვა სატრანსპორტო მოწყობილობა და სათადარიგო ნაწილები |
| კლასიფიკატორის კოდები | |

• 34928100 - გამყოფი ბარიერები

დამატებითი ინფორმაცია

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სხვადასხვა ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, მარტივი და მკაცრი ტიპის ჯებირების სახელმწიფო შესყიდვა

> „სამწუხაროა, რომ ყველა ის მახინჯური ჩვევა, რაც ძველ ხელისუფლებას ჰქონდა, წარმატებით მოირგეს ამათაც და კიდევ მეტი დაამატეს მეტი კომფორტისთვის. ვის ახსოვს ხალხი, სიცხეები მოდისო და ცივ წყალს იმარაგებენ, ხალხს კი ამ დროს ლუკმაპური ენატრება“

მაშინ, როცა მერია მილიონებს რაღაც კვლევებში ხარჯავს, სოციალურად დაუცველი ადამიანები სულს ღაფავენ და გადარჩენისთვის იბრძვიან. გუშინ ნავროზაშვილების ოჯახში ვიყავით, სადაც მარტოხელა ქალბატონს 6 თვით მოუხსნეს სოციალური დახმარება. ჩვენ მას შუამდგომლობა გავუწიეთ და ალუდგინეს ეს დახმარება. კვლავ რომ მივიდა კომისია, 19 ათასი ქულა აღმოაჩნდა, რაც ნიშნავს, რომ უკიდურესად გაჭირვებული იყო და ალუდგინეს დახმარება. ანუ ასეთ ადამიანს მოუხსნეს დახმარება, რაც ნიშნავს იმას, რომ ასეთი ადამიანების ხარჯზე ზოგავს ბიუჯეტს ხელისუფლება და ამ დროს, არამიზნობრივად ხარჯავს რაღაც ექსპერიმენტებში.

უმძიმესი სოციალური ფონია ქვეყანაში და არა მგონია, ვინმეს ეს კვლევები სჭირდებოდეს. მით უმეტეს, რომ წლები ჰქონდათ ამათ, ეს ბაზრები გამოეკვლიათ, შეესწავლათ და ა.შ. შე კაი ადამიანო, ექსპერიმენტს ატარებ და ჩვენი ფულით გინდა, გაიგო, დედაქალაქში რა და როგორ უნდა გააკეთო?

— **დედაქალაქის მერიას ხომ ჰყავს შესაბამისი სამსახური, რომელსაც ევალება მსგავსი საკითხების მოგვარება?**

– სწორედ ამიტომ გვაქვს პრეტენზია. მაშინ რისთვის გვყავს მერია, თუკი იგივე ფუნქციების შესასრულებლად სხვა კომპანიას უნდა ვუხადოთ მილიონები? ეს ხომ არაა პატარა თანხა?! მილიონობით ლარს ხომ ისედაც ვიხდით ამ ადამიანების შრომის ანაზღაურებაში? ქალაქის ბიუჯეტში 100 მილიონი ლარია შრომის ანაზღაურება წლიდან წლამდე, ანუ ამ ბიუროკრატებს 100 მილიონს ცალკე ვუხდით და მერე უკვე ნახევარი მილიონის ოდენობის ხელშეკრულებას სხვა კომპანიასთან ვაფორმებთ და მას ვურიცხავთ. თუ ამ საქმეს სხვა კომპანიას აწარმოებინებ, მაშინ რისთვის გვყავს საქალაქო სამსახური ეკონომიკის მიმართულებით?! ან ის სამმილიონიანი „ბიზნესის ხელშეწყობის ცენტრი“ რომ გაუკეთა ნარმანიამ მარგიშვილს, რად უნდოდა?! რისთვის ვხარჯავთ, თუნდაც იმ სამ მილიონს?

ფაქტია, რომ დავით ნარმანია, ყველაფრის მიმართ არის მოტივირებული, გარდა საქმის კეთებისა. ჩვენს დედაქალაქს კვლევა და გამოკითხვები კი არა, კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტები სჭირდება, რომ ქალაქში გადაადგილება იყოს შესაძლებელი და ასევე, მინიმუმ, ასეთი მწვავე სოციალური პრობლემები არ იყოს და ელემენტარულად, ვიღაც ტვინგაყინულმა სოციალურმა აგენტმა უკიდურესად გაჭირვებულ ადამიანს სოციალური დახმარება არ მოუხსნას. აი, ესენია ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემები, მაგრამ ამის გარდა, ყველაფერზე ფიქრობენ.

დავით ნარმანიას წასვლამდე კიდევ უფრო ცოტა დრო რჩება. ამ ადამიანს სექტემბერში გაუშვებენ სახლში და სექტემბერში იმიტომ, რომ მანამდე თავის გატანის შანსი არ აქვს „ქართულ ოცნებას“. ახლაც დიდი სიამოვნებით გაუშვებდნენ, მაგრამ კანონი ჭედავთ. ახლა რომ გადააყენონ, მაშინ ორ თვეში უნდა დანიშნონ არჩევნები.

გარდა იმისა, რომ ბიუროკრატებს ვუხდით მილიონობით ლარს და მერე მათი ფუნქციების შესასრულებლად სხვა კომპანიებს ვქირაობთ, დედაქალაქის საკრებულო ტენდერს აცხადებს 16 ათას 500 ბოთლი წყლის შეძენაზე. ასეთი სამარცხვინო მერი ქალაქს არასოდეს ჰყოლია.

ამ ეტაპზე ნარმანია წინასაარჩევნო საკითხებითაა დაკავებული და ადმინისტრაციული რესურსიც ამის მიხედვით აქვს გადალაგებული. ჩვენ ამ საკითხს ვსწავლობთ და საზოგადოებას მივაწვდით დეტალურ ინფორმაციას. ჩვენ არ მივცემთ მთავრობას იმის საშუალებას, რომ ადმინისტრაციული რესურსი გამოიყენონ.

ახლა შეხედეთ – საკრებულოში დაახლოებით 150 კაცია. გავიგეთ, რომ ცხელი ზაფხული მოდის და ბევრი წყალი დასჭირდებათ, მაგრამ ნამდვილად არაა აუცილებელი, რომ იმაზე იყვნენ ორიენტირებული, თვითონ კონდიციონერები დაიყენონ, პირი არ გაუშრეთ და ბევრი ცივი წყალი მოიმარაგონ. ჯერ ხალხზე იფიქრონ, ამოასუნთქონ და მერე უნდათ, ცივი წყალი დალიონ და უნდათ კიდევ ცხელი. უხერხულია, ნამდვილად. რაღაც დოზით რომ ბიუჯეტის ფულით იყიდონ წყალი, გავიგებთ რამენაირად, მაგრამ არ მგონია, რომ საკრებულოს ყველა თანამშრომლის სარგო წყალი ბიუჯეტის ფულით უნდა ვიყიდოთ. ხელფასიც აქვთ, პრემიაც, დანამატიც და წყალიც მათივე ფულით იყიდონ და ყავაც. ყელში ამოვიდა! კოკა-კოლასა და ყავას რომ ბიუჯეტის ფულით ყიდულობდნენ, ეს ხომ ყველას კარგად გვახსოვს, ახლა წყლის დალევაც ბიუჯეტის ხარჯზე დაიწყეს და ჩვენ, ხალხს, რა ამ დროს?!

დღეს საკრებულო ყველაფერს აკეთებს იმის გარდა, რასაც უნდა აკეთებდეს. იცით, რას უნდა აკეთებდეს? ჩვენ რომ ვამბობთ, რომ უდიპლომოები და კორუმპირებულები არ უნდა დანიშნონ, სარევიზიო კომისიამ შეამოწმოს და ა.შ. ამას უნდა მიაქციონ ყურადღება. უამრავჯერ ვისაუბრეთ ასეთ ფაქტებზე, მაგრამ ყური არ შეიბერტყეს და მერე ყველა ფაქტი ცუდი შედეგით დასრულდა. საკრებულოს ფუნქციაა, რომ დედაქალაქის მაკონტროლებელი იყოს, მაგრამ რას ვხედავთ რეალურად – მაკონტროლებელი კი არა, საკრებულოა ბიუჯეტის წურბელა და 16 500 ბოთლ წყალს ყიდულობს ბიუჯეტის ფულით. სითავხედესაც ხომ აქვს საზღვარი.

— **რას აპირებთ?**

– ჩვენ აუცილებლად გავუწევთ მონიტორინგს, ვის, რატომ და რა ნიშნით გაუფორმებენ ამ თანხებს. შევისწავლით ყველა კომპანიის ბეგრაუნდს. ჩვენ გვაქვს იმ კომპანიების ჩამონათვალი, რომლებიც მერიის ფავორიტები არიან. ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი – კვლევაში რომ ხარჯავენ ამხელა თანხებს, პროგრამა ხომ უნდა იყოს წარმოდგენილი, რას აკეთებენ?! მსგავსი არაფერი არ არის – ესაა სწორედ საქმე.

სამწუხაროა, რომ ყველა ის მახინჯური ჩვევა, რაც ძველ ხელისუფლებას ჰქონდა, წარმატებით მოირგეს ამათაც და კიდევ მეტი დაამატეს მეტი კომფორტისთვის. ვის ახსოვს ხალხი, სიცხეები მოდისო და ცივ წყალს იმარაგებენ, ხალხს კი ამ დროს ლუკმაპური ენატრება.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1. ზღვის ყაჩაღი, მეკობრე ან კონტრაბანდისტი
2. სახლში ბინების განლაგების ზოგადი სქემა
3. სპორტული შეჯიბრების ბოლო ნაწილი
4. სამოქალაქო ავიაციის საერთაშ. ორგანიზაცია
5. რბილძირიანი ბეწვის ფეხსაცმელი
6. იგივეა, რაც ენათმეცნიერება
7. ომში არმონაწილეობა
8. წყლის მცენარე, „წყლის ჭირი“
9. ზომიერად ნელი ტემპი მუსიკაში
10. წერილის ძვ. სახელწოდება
11. ფულის მსყიდველობითუნარიანობის კლება
12. კიმონოს შესაკრავი ქამარი
13. ხელოვნური ქსოვილი
14. კოცონზე დამწვარი ფილოსოფოსი
15. სუსტი ქარი
16. უმცირესი ნატურალური ლუწი რიცხვი
17. პატარა ტყე მინდორში
18. მუსიკის თეორიის ნაწილი
19. დეკორატიული ბალახოვანი მცენარე
20. უდანაშაულობის დამამტკიც. საბუთი
21. პარკოსანი მცენარე
22. სუფთა მოგება ძიუდოში
23. ბევრ ცხიმში შემწვარი კარტოფილი
24. კარლ მარქსის „კოლეგა“
25. ღრმა და შეუხორცებელი ჭრილობა
26. ზღვა ფილიპინების სამხრეთ-დასავლეთით
27. მსახიობი ... თაყაიშვილი
28. ქვეყანა არაბეთის ნახევარკუნძულზე
29. ტბა ფლორიდაში
30. იტალიელი ფეხბურთელი ლუკა ...
31. ტომ სოიერის ლიტერატ. „მამა“
32. სეირნობა დასვენების მიზნით
33. დაავადების განვითარ. უმაღლესი მწვერვალი
34. დოკუმენტების ჩასაწერი დავთარი
35. კუნთოვანი ქსოვილის სიმსივნე
36. სისხლის ავთვისებიანი დაავადება
37. გიგანტური წიწვოვანი ხე
38. რკინის ქუდი
39. სპორტ. ნაგებობა ველოსპორტში შეჯიბრებისათვის
40. მოთმინებით „ცნობილი“ ბიბლიური პერსონაჟი
41. ნიგერის დედაქალაქი
42. სითხის საწყაო საქართველოში
43. სურელი მამა ... ნეკრესელი
44. ოთახის დეკორატ. ყვავილი
45. ოქროთი მდიდარი მითიური ქვეყანა
46. დაბალი და გამხდარი ტანის კაცი
47. კოლხეთის ანტიკური სახელი
48. უბედურების საერთაშორ. სიგნალი
49. საჭმლის მცირე ნაწილი
50. ბიზანტიელი უზურპატორი ... სკლიაროსი
51. ხელისგული თითებიანად
52. ქალაქის ელექტრული რკინიგზა
53. კომკავშირის აბრევიატურა
54. გეომეტრიული ფიგურა
55. ებრაელთა წინამძღოლი
56. თვალის თანდაყოლილი უქონლობა
57. მცირე ჩრდილი (საბა)
58. აშშ-ის შტატი
59. დედის ან მამის დედა
60. როსტევან მეფის სპასპეტი
61. მომკილი თავთავის კონა
62. ტოტალიზატორში დადებული თანხა
63. გემთა მიმოსვლა, ნაოსნობა
64. სტენდალის ნამდვილი გვარი
65. ქალაქ მედინას ძველი სახელი
66. თხის სახიანი ღვთაება ქართულ მითოლოგ.
67. აფრიკული გიგანტური ხე
68. წყალში მოხარშული ბურღულის კერძი
69. იგივეა, რაც კრაზანა
70. ნიგვზიანი კომბოსტო
71. (ძვ.) დარაჯი, გუშაგი
72. ფერმა ბრაზილიაში
73. ცხვრის ნაშიერი
74. იტალიური თეატრის ჟანრი
75. ანტილოპას სახეობა
76. აპოლონის ტაძრის ქურუმი ქალი
77. მთიანი მხარე აღმოსავლეთ საქართველ.
78. ჩილელი ფეხბურთელი ... სამორანო
79. იაპონიის ვალუტა
80. მოკლე იტალიური მაკარონები
81. ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი
82. დანანების გამომხატვ. შორისდებული
83. ... ხაჩატურიანი
84. უანგარო შრომა
85. გერმანიის პარლამენტი
86. ნახატი გამჭვირვალე მასალაზე
87. ბიძია-ბაბუას სატრფო „შერეკილებში“
88. ზევსის მკვებავი თხა
89. ლუდის წარმოებაში ხმარებული ხვიარა მცენარე
90. რუსული როკ-ჯგუფი
91. წიწვოვანი ხე
92. ხრიკი, ფანდი
93. კუნთის ანთება
94. ბევრი თვალის მქონე გოლიათი
95. ქართული მხატვრული ფილმი
96. ხევსიბერის სახელი ყაზბეგის მოთხრობაში
97. „ს“ ასოს სახელწოდება ბერძნულში
98. პლანეტა ვენერას ხალხური სახელი
99. მიწის საზომი ერთეული ინგლისში
100. ხე მაგარნაჭუჭიანი ნაყოფით
101. გულანშაროს მთავარი „ვეფხისტყაოსანში“
102. ორიენტაციის გაგნებისთვის განკუთვნილი ხელსაწყო
103. დედალოსის ქმნილება კრეტაზე
104. ნამდვილად არსებული ნივთი
105. ამერიკული ტელესერიალი უცხოპლანეტელზე
106. რისამე განსაზღვრული ულუფა
107. პატარა ტიკი
108. ამერ. რეჟისორი დევიდ ...
109. გამოუცდელი, შეუჩვეველი
110. დარიშხანის მჟავას მარილი
111. „იუვენტუსის„ განელი ნახევარმცველი
112. ფასიანი ქაღალდების გამოშვება
113. „ჰიუნდაის“ მოდელი
114. შავი ზღვის ზვიგენი
115. ოსტაპ ბენდერის კომპანიონი
116. ქართ. ვაზის უძველესი ჯიში
117. ინდიელთა ფეხსაცმელი
118. იაპონური ავტომარკა
119. თმის საშრობი ხელსაწყო
120. ქალის საბანაო კოსტიუმის სახეობა
121. უგანდის დედაქალ.
122. ქართ. ზღაპარი
123. იგივეა, რაც ინდისხურმა
124. შეძახ. კონცერტზე ნომრის გამეორების მოთხოვნით
125. ნ. ბარათაშვილის ლექსი
126. ჯ. სვიფტის პერსონაჟი
127. ოსური მინერალური წყალი
128. ერთგვარი მომცრო ფრინველი
129. თმის მცენარეული საღებავი
130. იაპონელი მწერალი ... კობო
131. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
132. ამაზონის დელფინი
133. მსახიობი ... პაჩინო
134. მდინარე რუსეთში
135. ვარდობისთვე
136. მდინარის დატოტვილი შესართავი
137. „ალექსანდრეს“ რეჟისორი
138. ვულკანი კამჩატკაზე
139. მგოსანი-მომღერალი შუააზიაში
140. უმაღლესი სახელმწ. ორგანო ძვ. რომში
141. უფერო ზეთოვანი ნივთიერება
142. ჯავშნიანი რეპტილია
143. თავისუფალი ფორმის ნარკვევი
144. აიბოლიტის ძაღლი მულტფილმში
145. თიკნის ტყავი, სპეც. გამოყვანილი
146. ცისფერი ნილოსის სახელი
147. დიდი მუწუკი
148. მოუხარშავი ან შეუწველი
149. ბერძნული ანბანის ასო
150. ბილიარდის ჯოხი
151. მუსიკალ. გამის VII ნოტი
152. ტკივილის გამომხატვ. შორისდებული
153. გულშემატკივართა შემახილი კორიდაზე
154. სასულთნო აზიაში
155. კენტჩლიქიან ცხოველთა ინფექციური დაავადება
156. მიწისქვეშეთის მდინარე ბერძ. მით.
157. მდინარე გერმანიაში



პასუხები: 1. ფლიბუსტიერი; 2. პლანშეტი; 3. ფინალი; 4. იკაო; 5. უნტები; 6. ლინგვისტიკა; 7. ნეიტრალიტეტი; 8. ელოდეა; 9. ანდანტე; 10. ეპისტოლე; 11. ინფლაცია; 12. ობი; 13. ნეილონი; 14. ბრუნო; 15. ნიავი; 16. ორი; 17. ოლე; 18. ჰარმონია; 19. ვერბენა; 20. ალიბი; 21. სოია; 22. იპონი; 23. ფრი; 24. ენგელსი; 25. იარა; 26. სულუ; 27. სესილია; 28. იემენი; 29. ოკიჩობი; 30. ტონი; 31. ტვენი; 32. მოციონი; 33. აკმე; 34. რეესტრი; 35. მიომა; 36. ლეიკოზი; 37. სეკვოია; 38. კასკა; 39. ტრეკი; 40. იობი; 41. ნიამეი; 42. კოკა; 43. აბიბოს; 44. ლეია; 45. ელდორადო; 46. ჩია; 47. აია; 48. სოს; 49. ლუკმა; 50. ბარდა; 51. ნები; 52. ტრამვაი; 53. ალკკ; 54. ელიფსი; 55. მოსე; 56. აფაკია; 57. ბაო; 58. იუტა; 59. ბებია; 60. ავთანდილი; 61. ძნა; 62. ფსონი; 63. ნავიგაცია; 64. ბეილი; 65. იასრიბი; 66. ბერიკა; 67. ბაობაბი; 68. ფაფა; 69. კელა; 70. კოტრანა; 71. ასასი; 72. რანჩო; 73. კრავი; 74. ფიაბა; 75. გნუ; 76. პითია; 77. ხევსურეთი; 78. ივან; 79. იენა; 80. რიგატონი; 81. მესხი; 82. აფსუს; 83. არამ; 84. ამაგი; 85. რაიხსტაგი; 86. დიორამა; 87. თამუნია; 88. ამალთეა; 89. სვია; 90. „დდტ“; 91. ტუია; 92. ოინი; 93. მიოზიტი; 94. არგუსი; 95. „ჩიორა“; 96. გოჩა; 97. სიგმა; 98. მთიები; 99. აკრი; 100. ფსტა; 101. უსენი; 102. კომპასი; 103. ლაბირინთი; 104. რეალია; 105. „ალფი“; 106. პორცია; 107. ტიკჭორა; 108. ტუი; 109. ხამი; 110. არსენიტი; 111. ასამოა; 112. ემისია; 113. სონატა; 114. კატრენი; 115. კისა; 116. ბუდეშური; 117. მოკასინი; 118. „ნისანი“; 119. ფენი; 120. ბიკინი; 121. კამპალა; 122. „ირმისა“; 123. ფინიკი; 124. ბის; 125. „მერანი“; 126. გულივერი; 127. ბაგიათი; 128. ჭკა; 129. ინა; 130. აბე; 131. სირ; 132. ინია; 133. ალ; 134. იკი; 135. მაისი; 136. დელტა; 137. სტოუნი; 138. უკა; 139. აკინი; 140. სენატი; 141. ანილინი; 142. კუ; 143. ესე; 144. ავა; 145. შევრო; 146. აბაი; 147. ბმო; 148. უმი; 149. ქსი; 150. კიი; 151. სი; 152. ვაი; 153. ოლე; 154. ომანი; 155. ქოთაო; 156. სტიქსი; 157. რური. გამუქებულ უჯრებში იკითხება: სეკვოია.

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ჩინელებმა მიტინგი წუნის მქონე... მაცივრების გამო ჩაატარეს



საპროტესტო აქციები როგორ ვინატროთ და ვისურვოთ, მაგრამ ჩინელების მსგავსი დემონსტრაციები რომ იმართებოდეს ჩვენთანაც, რაღა გვიჭირდა?

როგორც ირკვევა, პეკინში მიტინგი ჩატარდა, რომელიც „სიმენსის“ მიერ წუნის მქონე მაცივრების პარტიის გამოშვებამ გამოიწვია.

კერძოდ, აქციის მონაწილეების უკმაყოფილება მაცივრის კარმა გამოიწვია, რომელიც თურმე, ცუდად იკეტება.

ცნობილია მიტინგის მთავარი ლოზუნგიც, რომელიც შემდეგნაირად ჟღერს: „უმჯობესია, „სიმენსმა“ კარი დაკეტოს“.

– იმის გამო, რომ მაცივრის კარი კარგად არ იკეტება, პროდუქტი მალე ფუჭდება, რაც ძალიან დიდი პრობლემაა, – აცხადებდნენ მიტინგის მონაწილეები.

პროტესტის ნიშნად მათ „სიმენსის“ მარკის რამდენიმე მაცივარი უროებით დალეწეს.

**lenta.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## მეხსიერების დაქვეითებას უჩივით? დამნაშავე შესაძლოა... კარები იყოს



ხომ იცით, ენას ძვალი არ აქვს და ყველაფრის თქმა შეუძლია. ჰოდა, რაც რამ უცნაურობა მოადგებათ ხოლმე ადამიანებს ენაზე, ყველაფერს ხმამაღლა ამბობენ.

თქვენი არ ვიცით და ჩვენ კი ნამდვილად ვერაფრით წარმოვიდგენდით, რომ თითის ჩაყოლების გარდა, კარს ადამიანისთვის სხვა პრობლემების შექმნა შეეძლო. ყოველ შემთხვევაში, მეხსიერებას თუ დაუქვეითებდა, აბა, ამას როგორ ვიფიქრებდით?!

ასეა თუ ისე, ფრანგი ფსიქოლოგები მეხსიერების გაუარესების ერთ-ერთ მთავარ „შემოქმედად“ სწორედ კარს ასახელებენ.

კვლევის ფარგლებში სტუდენტები მეხსიერებასთან დაკავშირებულ გარკვეულ დავალებებს იღებდნენ. ამის შემდეგ ისინი ერთი ოთახიდან მეორეში უნდა შესულიყვნენ. შედეგად, კარის გაღება უწევდა, უფრო ხშირად ავიწყდებოდა, რისთვის დატოვა ერთი და რისთვის შევიდა მეორე ოთახში. რაც შეეხება მოხალისეებს, რომლებიც ოთახიდან არსად გადიოდნენ, მეხსიერებასთან დაკავშირებულ დავალებებს გაცილებით წარმატებით უმკლავდებოდნენ.

ამ გასაოცარ მოვლენას ფრანგი ფსიქოლოგები შემდეგნაირად განმარტავენ:

– კარის მიღმა გასვლა თავის ტვინის მიერ აღიქმება როგორც „ერთი მოვლენის დასრულება“, რომელიც მანამდე ხდებოდა. შედეგად, ინფორმაცია „მეხსიერების ბანკში“ გადადის. ამდენად, იმის გახსენება, რა იყო კარის ზღურბლზე გადაბიჯებამდე, უფრო რთულდება...

მოკლედ, ამ კვლევას თუ დავუჯერებთ, სახლშიც და სამსახურშიც ყველა კარი უნდა მოვხსნათ, მით უმეტეს, თუკი მეხსიერების მხრივ დიდად არ ვბრწყინავთ...

**tainamira.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ჩინურ ზოოპარკში ვეფხვის ბოკვრები წიწილებს დაუმეგობრდნენ



ფაუნის წარმომადგენლებს შორის მეგობრობის დამყარების მორიგი ძალიან უჩვეულო ფაქტი ჩინეთის ქალაქ ტაიჩჟოუს ზოოპარკში, „ჟეიანგ ველინგში“ გამოვლინდა, სადაც მომვლელებმა ერთი თვის წინ დაბადებული ვეფხვის ბოკვრების გალიაში წიწილები შეუშვეს, მაგრამ რამდენიმე წუთში გაკვირვებულებმა აღმოაჩინეს, რომ მტაცებლებმა ჩვეული ინსტინქტი არ გამოავლინეს (რაც იყო კიდეც ექსპერიმენტის მიზანი) და ციცქნა სტუმრებთან მხიარული თამაში დაიწყეს.

– გვსურდა, მტაცებლის ინსტინქტები მათში პატარაობიდანვე გაგვეღვიძებინა, თუმცა ბოკვრებმა ძალიან გაგვაკვირვეს და წიწილებს დაუმეგობრდნენ, – განმარტავენ ჩინური ზოოპარკის ადმინისტრაციაში.

საინტერესოა, რომ უკვე რამდენიმე კვირაა, რაც ბოკვრები და წიწილები კვლავ ერთად ცხოვრობენ და ჯერჯერობით, მათ შორის დამყარებული იდილია არ დარღვეულა.

**liveinternet.ru**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## რომელი ცხოველებია ადამიანისთვის ყველაზე სახიფათო?



დიდი ეჭვი გვაქვს, რომ ბევრს ზუსტად არ ეცოდინება, რომელი ცხოველები უქმნიან ადამიანს ყველაზე დიდ საფრთხეს. არა, ცალ-ცალკე ალბათ, ჩამოთვლიან, მაგრამ აბა, რად გვინდა ასეთი წვალება, როცა საქმეში ჩახედული სპეციალისტები თავად გვირჩევენ, რას უნდა მოვერიდოთ ყველაზე მეტად და რას – არა.

დავიწყოთ უკუღმა და ნელ-ნელა საშიშთა შორის ყველაზე საშიშის ვინაობასაც შეიტყობთ:

10. ერთ პატარა და ციცქნა თევზს, სახელწოდებით – კანდირუ, რომელიც ამაზონის წყლებში ბინადრობს და რაღაცით წურბელას ჩამოჰგავს, შეუძლია შარდის ნაკადს აჰყვეს და მამაკაცს სასქესო ორგანოზე ისე უკბინოს, რომ მტანჯველი სიკვდილით უზრუნველყოს.



9. არსებობს ბაყაყის სახეობა, სახელწოდებით ბოთლზე მცოცველი, რომელიც იმდენად საშიშ შხამს ფლობს, რომ 10 ადამიანის წამიერად მოკვლა შეუძლია.

8. არანაკლებ დიდი ყურადღება მართებს ადამიანს ზღვის კრაზანასთან შეხვედრისას. უფრო რომ დავაკონკრეტოთ, საუბარია მედუზაზე, რომელსაც სპეციალისტებმა სწორედ „ზღვის კრაზანა“ შეარქვეს. ამ არსებას 60 ცალი 4,5 მეტრის სიგრძის საცეცები აქვს. თითოეულ მათგანზე 5 ათასზე მეტი შხამიანი უჯრედია, რომელთაგან თითოეული 60 ადამიანის მოკვლისთვისაა საკმარისი.



7. ძალიან ბევრი მონადირე კვდება კამეჩისგან და ის საშიში ცხოველების რეიტინგში მე-7 ადგილს იკავებს. სპეციალისტების თქმით, კამეჩი წარმოუდგენელი სისწრაფით გამოირჩევა და მტერს მიზანმიმართულად ესხმის თავს. ხშირად ისე ხდება, რომ ასეთი თავდასხმებისგან თავის დაცვას მონადირეები, უბრალოდ, ვერ ასწრებენ.

6. ღმერთმა არ ქნას და თუკი ისე მოხდა, რომ შორეული მოგზაურობისას თეთრ დათვს გადაეყარეთ, ნამდვილად არ ღირს მისი მოფერება. მას ზრდასრული ადამიანის ადგილზე მოკვლა უზარმაზარი თათის ერთი დარტყმითაც კი შეუძლია.



5. არც სპილო ყოფილა ისეთი კეთილი, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. მის უშველებელ ეშვებსა და უდიდეს მასას რამდენიმე ათასი ადამიანი ჰყავს შეწირული.

4. ყოველწლიურად ინდური კობრებისგან გაცილებით მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე ნებისმიერი სხვა გველისგან.

3. ნიანგებს შორის ყველაზე საშიში ე.წ. ნიჩბისებრი ნიანგია, რომელიც ძალიან წააგავს ხის მორს და სამწუხაროდ, არც თუ იშვიათად ყოფილა, რომ ბევრი ადამიანი ჩამომჯდარა მის წელზე დასასვენებლად...

2. ცხოველთა მეფე – ლომი ასევე ძალიან სახიფათო მტაცებელია, თუმცა იგი რეიტინგის მხოლოდ მეორე პოზიციას დასჯერდა.



1. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, დათვებზე, სპილოებზე, ნიანგებსა და ლომებზე საშიში ადამიანისთვის... კოღოა. დიახ, დიახ, კოღო! სპეციალისტების თქმით, კოღო რამდენიმე ასეული დაავადების გადამტანია, სტატისტიკა კი იმაზე მეტყველებს, რომ სწორედ კოღოების გამო ყოველწლიურად მსოფლიოში დაახლოებით 2 მილიონი ადამიანი კვდება.

**1001facts.info**

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ყინულით სახის გაწმენდა სახიფათო პროცედურა აღმოჩნდა



საკმაოდ გავრცელებულია მოსაზრება, რომ დილაობით სახის წყლით დაბანას ყინულის კუბიკით გაწმენდა სჯობს, თუმცა, ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ ეს პროცედურა ქებას ნამდვილად არ იმსახურებს.

სპეციალისტების განმარტებით, პროცედურა საკმაოდ სახიფათოა, რადგან დაბალი ტემპერატურა სახისთვის გაცილებით მეტი ზიანის მომტანია, ვიდრე მაღალი.

ცნობილია, რომ ყინულის გამოყენებას ფიზიოლოგიური თვალსაზრისით ორგანიზმისთვის დადებითი შედეგის მოტანა შეუძლია, რასაც ვერ ვიტყვით კონკრეტულად სახეზე, რადგან მისი მგრძნობელობიდან გამომდინარე არსებობს ძალიან დიდი რისკი, რომ მოხდეს კაპილარების დაწყვეტა, საუკეთესო შემთხვევაში კი კანს ზემოთ მისი გამოჩენა, რაც, დაგვეთანხმებით, მშვენიერი სქესისთვის ნამდვილად უსიამოვნო შედეგია.

**myjane.ru**



რესტორნიდან დაბრუნებულ გადამთვრალ ქმარს ცოლი კართან ცოცხით ხელში დახვდა.

ქმარმა დაუჩოქა და ქვითინი მორთო:

– გემუდარები, ეს უკანასკნელი იყო, არ გაფრინდე!!!

*****

მასწავლებელი კოტეს:

– რატომ გაქვს კარნახში ზუსტად ისეთივე შეცდომები დაშვებული, როგორც შენს მერხთან მჯდომ ნინიკოს?

– მასწ, ჩვენ ხომ ორივეს ერთი მასწავლებელი გვყავს?

*****

ცოლ-ქმარი კომერციული სექსის თემას განიხილავს:

– უცნობ მამაკაცთან 100 დოლარის სანაცვლოდ დაწვებოდი?

– რა სისულელეა, შენ რა, მეძავი გგონივარ?!

– და მილიონ დოლარად?

– რა სისულელეა, შენ რა, სულელი გგონივარ?!?!?!

*****



მაღაზიაში მანიაკი შევარდა, ყვირის:

– ახლა ვილაცას გავაუპატიურებ!!! გოგონი, შენ რა გქვია? – ახალგაზრდა გოგოს მიუბრუნდა.

– ნინიკო...

– შენ ვერ გაგაუპატიურებ, დედაჩემს ერქვა ნინო... ოე, ჩვენი ძმა, შენ რა გქვია, – ახლა მამაკაცს ჰკითხა.

– კოტე, მაგრამ მეგობრები ნინიკოს მეძახიან ხოლმე...

*****

რესტორანთან ნასვამი მამაკაცი სამმა უცნობმა შეაჩერა:

– დროზე, ფული მოგვეცი!

– პრობლემა არ არის, – უპასუხა ნასვამმა, ჯიბეში ხელი ჩაიყო, მაგრამ ფულის ნაცვლად, პისტოლეტი ამოიღო, – აბა, დაწექით სამივე და გაცურეთ!!!

გაერთხა სამივე თავდამსხმელი ასფალტზე და იქნევს ხელებს. ბოლოს ერთ-ერთს მობეზრდა:

– სუფთა იდიოტი ხარ!

– კაი, კაცო!

– აბა, ასფალტზე ვინ ცურავს, გამოშტერდი?!

– ხმა ჩაიგდე, თორემ ჩაყვინთვა მოგიწევთ!!!

*მოამზადა დავით ახობაძემ*
*დავით ახობაძის ნახატი*

**ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები**
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## შემუშავებულია სისხლის ანალიზი დეპრესიის განსაზღვრისთვის

ამერიკელმა მეცნიერებმა შეიმუშავეს სისხლის ანალიზი, რომლის დახმარებითაც, შესაძლებელი იქნება კლინიკური დეპრესიის ან დიდი დეპრესიული აშლილობის დიაგნოსტირება.



სიახლის ავტორები ჩიკაგოს ჩრდილო-დასავლეთის სამედიცინო სკოლის სპეციალისტები არიან.

მათი განმარტებით, დიდი დეპრესიული აშლილობა ხასიათდება სიმპტომთა კომპლექსით და ხელს უშლის ადამიანის ნორმალურ ცხოვრებასა და საქმიანობას. მის გამოსავლენად და სიმძიმის დასადგენად, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციას უკვე აქვს შექმნილი თვითშეფასების ტესტი, ე.წ. დიდი დეპრესიის კითხვარი, რომლის თითოეული პუნქტი დაავადების ერთ სიმპტომს ეხება.



კიდევ უფრო ზუსტი დიაგნოსტირებისთვის ჩიკაგოელმა მეცნიერებმა კვლევა ცხოველებზე ჩაატარეს და დაავადების 26 გენეტიკური მარკერი გამოავლინეს. აღმოჩენილი ბიომარკერების საფუძველზე შეიქმნა სისხლის ანალიზი, რომლისთვისაც ნიმუში 28 მოზარდისგან აიღეს. მათგან 14 სრულიად ჯანმრთელი იყო, ხოლო მეორე ნახევარს დიდი დეპრესიული აშლილობის დიაგნოზი ჰქონდა დასმული.

აღმოჩნდა, რომ ტესტმა 100-პროცენტიანი სიზუსტით დასვა მათი ხელახალი დიაგნოზი და დაავადების სიმძიმე, რაც მომავალში საშუალებას გამოიღებს, სერიოზულ უსიამოვნებას მედიკოსები უფრო ეფექტურად შეებრძოლონ.

***wabmobi.ru***

## მოზარდების აგრესია: მეცნიერებმა მიზეზი აღმოაჩინეს

– მოზარდებში ფსიქიკის აშლილობის მიზეზი დე ვიტამინის ნაკლებობა ხდება, – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ მეცნიერები ამერიკიდან, რომლებიც აგრესიისა და სხვა აშლილობების მქონე თინეიჯერებს ორი წლის მანძილზე აკვირდებოდნენ.



სპეციალისტების დაკვირვების ობიექტი ბავშვთა საავადმყოფო გახლდათ. იქ მკურნალობას გადიოდნენ ბავშვები და მოზარდები, რომლებსაც დასმული ჰქონდათ ისეთი დიაგნოზები, როგორიცაა, მაგალითად, პარანოია, ბოდვა, ჰალუცინაციები და ასე შემდეგ.

კვლევის დახმარებით დადგინდა, რომ ყველა ეს მდგომარეობა 4-ჯერ ხშირად აღენიშნებათ მოზარდებს, რომელთა ორგანიზმიც დე ვიტამინის დეფიციტს განიცდის.

სპეციალისტები გვახსენებენ, რომ ჩვეულებრივ, დე ვიტამინის გამომუშავება დამოკიდებულია კვებაზე და ასევე, მზის სხივებზე. იმ შემთხვევაში, როცა ვიტამინის ნაკლებობა არ არსებობს, მოზარდებში აგრესიულობა და ფსიქიკური გადახრები არ შეინიშნება.

ამდენად, კიდევ ერთხელ გეტყვით, საიდან შეიძლება დე ვიტამინის მიღება. მზის სხივები უკვე ვთქვით, თუმცა დავამატებთ მცენარეულ და ზეითუნს ზეთებს, ზღვის პროდუქტებს და თევზის ქონს.

***woman.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

*ვერძი 21.03-21.04*

**22 ივნისი:** თუ სასურველ მიზანს ვერ მიაღწევთ, ამაში დამნაშავე თავადვე იქნებით. წესით, სხვა სახის პრობლემებს არ უნდა წააწყდეთ.

*კურო 22.04-21.05*

**22 ივნისი:** შეიძლება ფიზიკური და სულიერი სისუსტე იგრძნოთ. ეს უკანასკნელი უფრო სახიფათოა, ამიტომ ემოციურ ადამიანებს მოერიდეთ.

*ტყუპები 22.05-21.06*

**22 ივნისი:** თუ მოინდომებთ, გარშემომყოფებს ნებისმიერი დავალების შესრულებაზე დაიყოლიებთ. საქმე ისაა, მოინდომებთ კი?

*კირჩხიბი 22.06-22.07*

**22 ივნისი:** თანამოსაუბრეებს თვალებში ყურადღებით ჩახედეთ, შეიძლება მათში ამოიკითხოთ ის, რის თქმასაც თავს არიდებენ.

*ლომი 23.07-22.08*

**22 ივნისი:** თქვენს წარმოსახვას გაქანება მიეცით. ჯერ ერთი, ეს დასვენების კარგი საშუალებაა და მეორე – ღირს კი რეალობა იმად, რომ მასში გამოიკეტოთ?

*ქალწული 23.08-22.09*

**22 ივნისი:** დღეს ენერგიას იმდენად მოულოდნელად და ისეთი ადგილებიდან მიიღებთ, თავადვე გაოცდებით. ამ ძალებს ფუჭად ნუ დახარჯავთ.

*სასწორი 23.09-22.10*

**22 ივნისი:** დღეს შეიძლება ყველაზე დიდი ოცნებებიც კი აგიხდეთ, მაგრამ სულ მცირეც რომ იყოს, შეირგეთ. ცხოვრებისგან ზედმეტებს ნუ დაელოდებით.

*მორიელი 23.10-21.11*

**22 ივნისი:** შეგიძლიათ, აბსოლუტურად გულახდილი იყოთ. რაც არ უნდა თქვათ, ამის გამო საკამათოდ არ გექნებათ საქმე და არც ვინმეს მოიმდურებთ.

*მშვილდოსანი 22.11-21.12*

**22 ივნისი:** იმდენად სწრაფად იმოქმედებთ, გარშემომყოფნი ფეხს ვერ აგიწყობენ. უცნობია, თქვენი მიზეზით მოხდება ასე თუ სხვისი, მაგრამ მშვიდი დღე არ იქნება.

*თხის რქა 22.12-19.01*

**22 ივნისი:** რაიმე მიზეზი წინასწარ მოიფიქრეთ, შეიძლება თავის მართლება მოგიწიოთ. შეგიძლიათ თქვათ, რომ უსაფუძვლო პრეტენზიები აქვთ, მაგრამ ამას დამტკიცება დასჭირდება.

*მერწყული 20.01-18.02*

**22 ივნისი:** მოქმედებების დროა, განმარტებებისთვის დროსა და ადგილს სხვა დროსაც გამონახავთ. ამის გამო არ ინერვიულოთ, ვისაც უყვარხართ, გაგიგებენ.

*თევზები 19.02-20.03*

**22 ივნისი:** შეიძლება აკვიატებულმა იდეამ დიდი დრო წაგართვათ და ნერვები დაგაწყვიტოთ. მაინც არაფერი გამოგივათ, ამიტომ მოდუნდით.

**გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!**

**დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 577 74 99 89**
**„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი**
**(15 საათიდან)**

## მჭიდრო საცვლები და სამოსი ჯანმრთელობისთვის ძალიან საშიშია

ძალიან ბევრი ქალი, გამომწვევად და სექსუალურად რომ გამოიყურებოდეს, იმდენად მჭიდრო თეთრეულსა და ტანსაცმელს ირჩევს, სუნთქვასაც ძლივს ახერხებს. სამწუხაროდ, მხოლოდ სუნთქვის შეკავება არ არის ყველაზე დიდი პრობლემა, რაც სავსებით შესაძლებელია, ასეთ არჩევანს მოჰყვეს.



სპეციალისტები ბრისტოლის სამედიცინო უნივერსიტეტიდან ამბობენ, რომ უფრო ხშირად, ზეწოლას განიცდის მკერდი და წელი, რასაც ძალიან სერიოზული დაავადებების გამოწვევა შეუძლია.

მაგალითად, მჭიდრო ტანსაცმელს შეუძლია გამოიწვიოს კუჭის წვა, თავბრუსხვევა, პანიკის შეტევები. ძალიან მოჭერილი ჯინსები და ზოგადად, შარვლები, შესაძლოა, ქრონიკული დაავადებების მიზეზი გახდეს.

მოჭერილი ქვედა საცვლები ქმნის რეალურ საფრთხეს, რომ ქალები დაავადდნენ კუჭის წყლულით, გაუჩნდეთ კუჭის კიბო და ონკოლოგიური დაავადებები საჭმლის მომნელებელ სხვა ორგანოებზე.

არანაკლები საფრთხე ემუქრებათ მამაკაცებსაც. მაგალითად, სხეულზე შემოჭერილ პერანგს შეუძლია შაკიკის გაჩენა. ასევე, წნევის ცვალებადობის გამოწვევა, წელის ტკივილები და ასე შემდეგ.

დაბოლოს: სახიფათოა მოჭერილი ფეხსაცმელიც – ის ბებერებისა და სოკოვანი ინფექციების მიზეზი ხდება.

***myjane.ru***

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



შუაღამე. მორგი. სანიტრები სხედან და არაყს სვამენ. ცხედრებს პრაქტიკანტი სტუდენტი იკვლევს. უცბად შეშინებული ახალგაზრდა სანიტრებთან მივარდა:

– იქ... იქ...

სანიტრებიც შეშინდნენ და ფეხზე წამოცვივდნენ.

– იქ გარდაცვლილი გაცოცხლდა.

– წადი შენი დედაც... ჩვენ გვეგონა, მთავარი ექიმი მობრუნდა...

*მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

**გაზეთი „ალია“**
გამოდის ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს
გამომცემელი **გიორგი ბრეგვაძე**

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – **მიხეილ სახვაძე**
599 93 28 03; 2-21-21-80 (110)

ოფისმენეჯერი – **ტატა ბრეგვაძე**
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
**ილია ჭაქვაძე** (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
**ლევან ბანეთიშვილი**

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

**სარეკლამო სამსახური**
☎ 2-333-170
**577-444-442**
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 110)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, D-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 01.40